345
1904/3

345/21
ეროვნული
ბიბლიოთეკა
16

ოქტომბერი

1904 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

უურნალ „ჯეჯილისა“

		გვ.
I	ფერადი სურათი ლექსით	4
II	ლაზარეს ჩიტილი ლექსი — შ. მდივანელისა	6
III	გომფაშო ამბავი (ფრანგულიდან) — ტასოსი	8
IV	თამარ მეფე და გლახა — გ. წულუკიძეისა	9
V	პატარა სურათი — იდიკოსი	10
VI	ქამბეჩები და ვეფხი (რუსულიდან) — ტასოსი	12
VII	ნასწავლი კაკაბი (ფრანგულიდან) — ალ. სარაჯაშვილისა . .	14
VIII	ნაფოტა თევზის თავ-გადასავალი, გადმოღებული — ვ. მიქაბერიძისა	24
IX	† სტეფანე ზუბალაშვილი (ნეკროლოგი) კალდიასი . .	37
X	გულადი — მოთხრობა უილისა (თარგმანი) — ს. ტიტიშვილისა	41
XI	ფიზიკური გეოგრაფია პროფესორი გეიკისა — სან ინ . .	57
XII	ცეფალი და პროკრიდა (ოვიდიუსი) — ალ. უუმისთაველისა .	65
XIII	წერილმანი: ანდაზები, გამოცანა, ზმა, შარადა, სიტყვების ამოცანა, სათამაშო გასართობი და რებუსი . . .	73

ჯეჯილები

საუმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაბუჩდი, გახდი ყანაო!..
ი. ფ.

7046

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 || Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1904

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го Октября 190 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს ვინ არის, რომ მოკოკავს?!..
ვაი თუ რამ მხეცი იყოს?...
სჯობს მოვკურცხლოთ... საძაგელმა
ფეხები არ მოგვაკვნიტოს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზარეს ჩივილი.

მერთმა ხომ იცის არ მქონდა
ყანის სათესლე ხორბალი,
უკულმა ჴროწიალობდა
ჩემი ბედ-ილბლის ბორბალი.
გავბედე, „ჩამოვითხოვე“
საჯეჯილ-ყანო მარცვალი,
ვით რაფიელმა დამღერა
„შიგ ტრიალებდა ღვთის თვალი!“
ჯეჯილი დამითავთავდა,
მეტის სიმძიმით წვებოდა;
ისე დაბრაწა მზის გულმა
მტერსაც კი იამებოდა
ვიფიქრე ეხლა დავხვდები
გულ-ფხვად ღარიბს, მშიერსა,
ქედს არ მოუხრი სიყალბით
გასისინებულს ძლიერსა.
მაგრამ სურვილი, წადილი
ხელიდან გამისრიალდა:
წალმა მოსული სიკეთე
უკულმა დამიტრიალდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეტყვა მოვიდა, დამიკრა
შეუბრალებლად ყანასა,
მტერიც არ გამიწონავდა
მე გულში ასე დანასა!..

ჯეჯილო, ყანად ქცეულო
სიამით შემოგცქეროდი,
თავს ვიწონებდი შენითა
და გულში ტკბილად ვმღეროდი.

მაგრამ შენს დახვავებასა
ბედმა რო აღარ მაცალა!..
ჩაგრეგვა მწარე გრიგალმა
და მეც ულწყალოდ დამცარა!..

აი დღეს ვხედავ ბუნებამ
ფრთა გაშლით ფერი იცვალა,
გულმა იკმარა საგრძნობლად
რაც აქამდისინ იწვალა.

თბილ მზის სხივებთან ხალისით
ვიკრებ სულ ახალს ძალასა,
ხორბალსა ვთესავ, მოვიყვან
ქოჩორა ჯეჯილ-ყანასა.

ჯეჯილო, გაძლევ პირობას
მე არაფერში დაგზარდე,
კვლავ ვიამაყებ შენითა
რომ ძე-შვილივით გაგზარდე!..

შ. მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გომფაშო.

ახე, პეტრე, რა გიჩვენო, რა საშინელი შავი გომფაშოა! — ფუთხრა ვანომ თავის პატარა ძმას პეტრეს, — მოდი მოვკლათ, ჩავაქვაოთ.

ვანომ აიღო ჯოხი, პეტრემ ქვა და გაიქცენ ორივენი გომფაშოს საწვალებლათ.

ამ დროს იქვე პატარა ფურემში შებმულმა ვირმა გამოიარა, ის იყო ფუნდა გადევლო ზედ ამ პირუტყვზე, მაგრამ ერთ წამს შედგა და გზა აუხვია, რომ არ გაეჭყლიტა გომფაშო.

ყმაწვილებმა ერთმანერთს გადახედეს და გააგდეს ხელიდან ჯოხიც და ქვაც.

ტასო.

(ფრანგულიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ მეფე და გლახა.

თამარ მეფე ისეთი სათნო ადამიანი იყო, რომ არას დროს გლახაკს უმოწყალოთ არ გაისტუმრებდა. აი ერთხელ რა მოხდა:

დიდ თამარს გელათის ტაძარში უნდა მოესმინა წირვა; კვირა დღე იყო და მწირველი თვითონ ქუთათელი ბრძანდებოდა. ცხრა საათზე იწყეს ზარების რეკა და გელათის დიდი ტაძარი მღვდლებით აიესო. მობრძანდა ქუთათელიც, შეიმოსა და მეფის შემობრძანებას ელოდა.

თამარი მზათ იყო წირვაზე წასასვლელათ, მხოლოთ თავის მვირფას მანიაკს იკეთებდა. სწორეთ ამ დროს შეატყობინეს ვინმე გლახა გიახლათო. რაკი გამობრძანებას აპირებდა, უნდოდა თვითონ ენახა გლახა და თავის ხელით მიეცა მოწყალება. მაგრამ, მანამ მანიაკის ყელზე შებმას მორჩებოდა, რამდენიმე წამი გავიდა, და როცა გამობრძანდა, გლახა აღარ დახვდა. ეს ისე მრიელ ეწყინა თამარ მეფეს, რომ შებრძანდა ეკლესიაში, პირდაპირ სახულის ღვთის-მშობლის სატთან მივიდა, თაყვანი სცა და ემთხვია; მერე მოიხსნა თვისი მვირფასი მანიაკი და სატს ჩამოჰკიდა. სანამ მიზეზი არ შეიტყვეს ამ ამბავმა ყველანი გააკვირვა.

წყალტუბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა სურათი.

იშ დედავ, ეს რა ქივილ-ხივილია!?—წამოიძახა შალვამ და სახლის ფანჯარა გააღო.

მშვენიერი გაზაფხულის დღე იდგა. ბაღში ფერად-ფერადებათ ჰყვაოდენ ტუმალი, ჭერამი, ატამი, ნუში და შინდი. ჰაერში ამ ყვავილების სუნი იდგა. მხოლოთ ვარდის ბუჩქი ჯერ აუყვავებას არც-კი ფიქრობდა. ყვავილების მაგივრათ მას მთელი გუნდი ბედურა ჩიტებისა შემოსხმოდენ, ვარდის ტოტები იზნიქებოდა, ჩიტები-კი გულიანათ იცინოდენ და ცელქობდენ.

შალვა ერთბაშათ ვერ მიხვდა ჩიტების მხიარულ კიჟინს. უეცრობამ დამ ნუცამ დაანახვა ხშირ ბუჩქებში «ძიძინებული» კატა. ჩიტები თურმე კატას დასცინოდენ, გამოცდილი დედა-ჩიტები-კი ახალგაზდებს აფრთხილებდენ, კატას თავი მოუმკვდარუნებია და ვინძლო ფრთხილათ, თორემ კლანჭებში თუ ჩაუვარდით თქვენი ბუმბულების ხსენებაც-კი აღარ იქნებაო.

შალვა დიდხანს უცქეროდა სეირს, ძრიელ უნდოდა გაეგო შეაცდენდა თუ არა კატა ჩიტებს. ჩიტები მთელ გუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დობით ხან გაფრინდებოდენ, ხან ისევ დასხდებოდენ იმავ ბუჩქებზე. კატა სულგატეხილი ეგდო. უფროსი ჩიტები ძრიელ ჯავრობდენ, უნცროსები ცავის გიჟ-ბაკობას მაინც არ იშლიდენ.

იხელთა დრო კატამ, უეცრათ ისკუპა და ერთ ჩიტს აკი კლანჭი გაჰკრა! ეს ისე უცებ მოხდა, რომ შალვამ თვალი ვერც-კი შეასწრო. დაწიოკებული ჩიტები აქეთ-იქით გაიფანტენ და ხეების ტოტებზე ჩაიოდენ და სჩიოდენ ამხანაგის დაკარგვას.

შალვა გამოექანა ბალისკენ. უკან პატარა ცუგაც დაედევნა, მაგრამ ვიდრე შალვა და მისი ამხანაგი ჩიტს უშველიდენ, კატამ ყელი ჩაიოკლოწინა კიდეც. საშინლათ ეწყინა შალვას, ერთი ქვაცა სტეორცნა კატას და სულ იმას ნანობდა, რატომ წინათვე არ გავაგდე კატა აქედგანაო.

გამარჯვებული კატა გაკვირვებული თვალებით შესცქეროდა შალვას — ნეტავ თუ შალვა რას მეტიჩრობსო... და თან ტუჩებს ილოკავდა.

ილიკო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კამბეჩები და ვეფხი.

ატარა ზანგის ბიჭს კამბეჩები სახლში მიჰყავდა. ფცბათ მახლობელ ტყიდან ვეფხი გამოვარდა. მივარდა ყმაწვილს, მოიტაცა და ის იყო ტყეში უნდა გაექანებინა, მაგრამ ყმაწვილის ყვირილზე კამბეჩებმა თავი მოიყარეს თავიანთი მწყემ·ის გადასარჩენათ. ამ ერთგულმა პირუტყვებმა თავები ძირს დაუშვეს და აწეული რქებით მივარდენ ვეფხს.

ვეფხმა დაინახა რომ მისი საქმე ცუდათ იყო, მიატოვა საჩქაროთ მსხვერპლი და მოჰყვა თავის დაცვას. სანამ ერთი კამბეჩი ებრძოდა ვეფხს, დანარჩენები გარს შემოეხვიენ მწყემსს, რომელიც მიწაზე გაშოტილი იყო. ყმაწვილს მთელი სხეული ისეთი ნატკენი ჰქონდა, რომ ვერ იძროდა.

კარგა ხანი გავიდა, რაც კამბეჩები უნდა მოერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კათ, მაგრამ ყმაწვილი არსადა ჩნდა. მამა მისი შეფიქრიანდა და წავიდა იმის საძებნელათ.

იმ ადგილას რომ მიუახლოვდა, სადაც ვეფხის და კამბეჩების ბრძოლა ყოფილიყო, დაინახა თავისი შვილი, რომელიც გრძნობა მიხდილი მიწაზე ეგდო. ყმაწვილის გვერდით, თითქოს იმას უდარაჯებენო, იდგა ორი კამბეჩი; ეტყობოდა ვეფხი გაედევნათ და სხვა კამბეჩები ტყეში საძოვრათ წასულიყვენ.

ტასო.

(რუსულიდან)

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნასწავლი კაკაბი

კაკაბაანთ გვარში, დიდი ტეის ჰირს რომ სცხოვრებს, ერთი ნასწავლი კაკაბია განთქმული, სახელად იასამანა. როცა მისნი ტოლნი ჯაგნარსა თუ მინდორში დარბიან და ცელქობენ, ეს თავისთვის მარტო ზის და სულ რაღასაც ფიქრობს.

იასამანამ მარგისა და მავნებლის ბალახის გარჩევა იცის; ხვალინდელ დარს გამოიცნობს. თუ ჩიტი ვინმე ავად გახდა, მაშინვე იმას იწვევენ; თუ გუგულმა მოლაღურს ბუდე წაართვა, იმის მეტი ვერავინ გაარჩევს საქმეს და ვერავინ შეარიგებს მოჩხუბრებსა.

იასამანა მაინც კმაყოფილი არ არის. ბევრი რამაა ისეთი, რასაც ვერ მიხვედრილა და ამიტომ ვერ მოუსვენია. როგორც უველა მეცნიერი იასამანაც ცნობის მოუვარულია, ტეის მახლობელ სოფელში დაძვრება და ადამიანების ზნეჩვეულებას თვალ-ყურს ადევნებს. ხედავს და ვერ გაუგია, ნეტა რა უნდა იყოს იმ დიდ წიგნში, მდვდელი რომ თავისთვის კითხულობს სოლმე; ან რას სწერენ მთელი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის მასწავლებელი და შეგირდებიო. კანცელარიის წინ სოფლელები რომ შეგროვდებიან და კედელზე გაკრულს განცხადებას დააცქერდებიან, იასამანას გული მოსდის,— ვაჰ, რატომ კითხვა არ ვიციო.

შურის თვალით უყურებს უმაწვილებს, სკოლაში რომ ზანტად მიდიან და გულით უნდა იმათთან იყოს დიდ კლასში, მაგრამ ვინ შეუშვებს? რამდენჯერმე სცადა კიდეც კლასში შეპარულიყო, როცა ბებერი მოსამსახურე ალაგებდა, და დაფას ამოჭყარებოდა, მაგრამ განა ბებრის თვალს სადმე დაემალები? გინდა არ გინდა წაბძანდი საიდანაც მოსულხარ.

მაინც ერთ დღეს იასამანამ შეამჩნია, რომ კლასში დადგმული რესპუბლიკის ქანდაკი გამოფუღურული ყოფილა, ასე რომ ადვილათ შეეძლო შიგ დამალულიყო.

მას აქეთ იასამანა ყოველ დილას სკოლაში მიდის, შეიპარება კლასში, შეძვრება ქანდაკში და სწავლას ყურს უგდებს.

საღამოობით ტყეში იასამანა უამბობს კაკაბაანთ რაც სკოლაში ისწავლა. ნადირი ყოველგნით იკრიბება სასმენლად. ფრინველები ხეებსა ჭყარავენ და გაშტერებულნი ყურს უგდებენ. იასამანა ლაფონტენის იგავ-არაკებს უამბობს. ზოგი ამბავი ყვავებს ვერაფრად მოსწონთ და გამწარალნი სჩხავიან: «ეგ სულ ჭორებიაო!»

«სუთ! სუთ!» აჩუმებენ ყველა მხრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგჯერ კურდღლებსა სწეინთ, მშიშარებს რად გვიძახიანო, — და ატუდება ხელ-ახლათ ერთი ეაუანი.

ორიოდე თვეს იასამანამ კითხვა ისწავლა.

მასწავლებელი რომ სხვაგან წავიდოდა, იასამანა იმის ოთახში შეიპარებოდა და დიდრონ წიგნებს კითხვას დაუწეებდა. თუ კანცელარიის კედელზე განცხადებას გააკრავდნენ, იმასაც წაუკითხავად არ დასტოვებდა.

ერთხელ ერთს დიდს განცხადებას შორიდან თვალი მოჰკრა. ხალხი იკრიბებოდა, კითხულობდა, ერთმანერთს უცინოდა; ზოგი სიხარულით ფეხზედ ვერ იდგა. რაწამს ხალხი დაიშალა, იასამანა მივიდა და... ჰირს კატა ეცა! მსხვილი ასოებით ეწერა:

ნადირობა ნებაა-დართულია.

ნადირობაო და იასამანას თვალ-წინ წარმოუდგა საშინელი სანახავი. მშვიდობით სიხარულო და უდარდელო ცხოვრებავ! დაიწეება ახლა გათენებიდან თოფის სროლა და ძაღლის ეეფა და დევნა. არც ძილია დილის მოლოდინში და არც ბუდე—თავის შესაფარებლად. მთელი დღე უბინაობა და დაუსვენებელი სირბილი ტეიდან მინდორში და მინდვრიდან ტეეში. აქეთ ძმებს გიელამენ, იქით მეგობრებს; მირბისარ გარეტიანებული და ვერც-კი გაგიბედნია მიიხედო და მომაკვდავს გამოესალმო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რომ აგონდებოდა, იასამანას ზურგზედ ბუმბული ებურძგნებოდა და თვალები ცრემლით ევსებოდა. თვალ-ამღვრეულმა ძლივს ღა წაიკითხა: ნადირობა კვირას დაიწყებაო.

მერე ერთ პატარა შენიშვნას მოჰკრა თვალი და დაფიქრდა.— ეწერა: «ნადირობა აღკრძალულია სახლებისა, სოფლებისა და ქალაქების მიდამოს ასი ადლის მანძილზედ».

იასამანა უეცრად მიხვდა, რა ღონით გადარჩენილიუო კაცის ხაფანგს. ფრთა-ფრთას ჰკრა და გაექანა ტეიხაკენ, რომ ქვეყანა შეეყარა.

შეიქნა ერთი ჩოჩქოლი, წივილი, სტვენა, სიცილი: რაო, რა უნდა გამოგვიცხადოს მეცნიერმა იასამანამაო?— ციმახოდენ.

მოვიდა იასამანაც, შეჯდა მისთვის დამზადებულს რტოზედ და, სიჩუმე რომ ჩამოვარდა, ასე გამოაცხადა: «ამ კვირიდან კაცები ნადირობას დაიწყებენო»...

სთქვა თუ არა, ასტუდა საშინელი უაუანი. ნადირი სწურებოდა და სჩიოდა: «როგორ თუ ნადირობა, აგრე ადრეო! რაო, კიდევ უნდა გვხოცონ!?»

შიშისაგან შველებს წვრილი ფეხები აუკანკალდათ; ჩიტებმა თავი ფრთაში ამოიდეს, ერთს კურდღელს-კი გული შეუწუხდა.

იასამანამ ძლივს დააჩუმა აღელვებული ტეის ნადირი. თითონ-კი ერთის თვალით ეშმაკურად იცინოდა და თავს ამაყად იქნევდა.

7046

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დამშვიდდით, შიში ნუ გაქვთო, — ეუნებოდა, — მე ერთი ისეთი ხერხი ვიცი, რომელიც ჩვენ უველას სიკვდილს გადაგვარჩენს. კანონის ძალით, მონადირეებს შეუძლიანთ მოგვკლან, თუ მინდორსა ან ტუეში მოგვასწრეს. სოფელში-კი ჩვენი სოცვის ნება არა აქვთ. მაშ მოდით, კვირას როცა ცისკრის ზარს ჩამოჭკვრენ, აქედან ავიუარნოთ და გავწიოთ სოფლისკენ, დავბინავდეთ ბანებსა, ხეებსა, საუდრის გუმბათსა და სამრეკლოზედ. დავრჩეთ სოფელში მთელი დღე, დაღამებისას-კი ისევ ჩვენ ტუეს დავუბრუნდეთ დასაძინებლად.

იასამანას ეგონა უველანი სიხარულით დასთანხმდებიან ჩემს რჩევასაო, მაგრამ სიხარულის მაგიერ უველამ ეჭვობა და ეოუმანი დაიწუო.

— მერე, დარწმუნებული ხარ, ემაწვილო, რომ სოფელში ხელს არავინ გვახლებს? — ჰკითხა იასამანას მოხუცებულმა კაკაბმა.

— ჩვენ რაღა ვქნათო? — დაიძახეს კურდღლებმა, შველებმა და ირმებმა. — ჩვენ ხომ თქვენსავით ვერ გავფრინდებით და სამრეკლოსა და კოშკებზედ ვერ დავსხდებით; ქუჩაში-კი სოფლის ბიჭები ჯოხით დაგვხოცენ!

ეს-კი იასამანას ფიქრად არ მოსვლია. მაგრამ რადგან მიხვედრილი კაკაბი იუო, სოფლის მღვდლის დიდი ბაღი მოაგონდა და თვალ წინ წარმოუდგა თითონ მოხუცებული, კეთილის სახის მღვდელი, რომელიც ისე ემუსაიფებოდა

ხოლმე თავის ძაღლსა, კატას და ქათმებს, თითქო იმისი მრევლი იყოსო. მაგისთანა კეთილის გულის კაცი აბა რო-გორ აწყენინებდა მასთან შეხიზნულს ნადირსა?

დიდხანს იბაასეს, ილაპარაკეს და ბოლოს ასეთი პირი დასდეს: კვირას გათენებისას, ცისკრის ზარზედ ეველა ნა-დირი, ტყისა თუ ველისა, სოფელში შეიხიზნება და იქ თავს დაასწევს მონადირეების დევნასა.

შაბათის საღამოა, საუცხოვო დარია. სოფლის ხალხი კარზედ გამოსულა და მეზობლებს მუსაიფი აქვთ. მეგობრე-ბი ერთმანერთს სახვალიოთ ვახშმად ეპატიჟებიან: ნადირის ხორცი გვექნებაო. დიასახლისებს ქვაბები და შამფურები დაუმზადებიათ. მონადირენი ადრე იძინებენ ხვალ არ და-გვიგვიანდესო.

ტყესა და მინდორშიაც ნადირს ფაცა-ფუცი და ჩოჩქო-ლი აქვს. პატარები ცელქობენ, დედებს დავიწყებიათ და ადრე არ დაუძინებიათ. ბებრები ცალ-თვალით სთვლემენ. დაღალული ნადირი თანდათან დაწყნარდა და ჩაეძინა. მარ-ტო იასამანას, ღამის თევას დაჩვეულსა, არა სძინავს და თვალ-ყური სოფლისკენ უჭირავს. ბოლოს, ხედავს რომ ერთ ფანჯარაში სინათლე გამოჩნდა, მერე მეორეში... დროა.

იასამანამ გააღვიძა თავისი მეზობლები. ტყესა და მინ-დორს თანდათან ჩურჩული მოედო. კურდღლებს სიცივისა-გან კბილები აუკაწკაწდათ და ფეხები დასწყდათ. ვინ იცის, როგორ დაუხვდება მოულოდნელ სტუმრებს სოფლის მღვდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი? ლამაზ ხოხბებს თავიანთი ჩვეულებრივი კაზმა-მორთვა დაავიწყდათ. არეულობაა და ჟლეტა.

უეცრად ცისკრის ბინდ-ბუნდში გაისმა ზარის ხმა.

დაუძახეს ვინც ჩამორჩენილიყო და ფრრიიი... გაფრინდნენ ფრთების შრიალით. ერთს წუთში სოფელში გაჩნდნენ. დაეშვნენ ბანებსა, ხეებსა, გუმბათსა და სამრეკლოზედ; ამასობაში ოთხ-ფეხნიც შევარდნენ მღვდლის ბაღში და ზოგი ბუჩქებში დაიმალა, ზოგმა-კი მიწაში ხვრელი ამოთხარა და ჩაძვრა.

დროც იყო. აჭა ერთ სახლში დაიჭრიალა კარმა და გამოვიდა მამასახლისი თოფით ხელში. დაუშტვინა ძაღლს და ესეც სიხარულით ფეხებში მიეარდა, საუდართან მამასახლისს მისი თანაშემწე შეხვდა და ერთად გასწიეს. ძაღლებმა ნადირის ალღო აიღეს და გიჟებსავით ხან იქით ეცემიან, ხან აქეთ, ხან ერთ ადგილს გაშტერდებიან. მაგრამ მონადირეებს მაგათთვის არა სცალიანთ, მინდორში გასვლას ეშურებიან.

თანდათან თენდება. მონადირეები ტეის ჰირს ნამიან ბალახზედ მიდიან და თავიანთ მეძებრებს აქეზებენ: «გეშა, გეშა, მედორ! გეშა, გეშა, ტრეზორ!»

ძაღლებიც ჯანს იგდებენ, ეძებენ, მიწას ჭსუნავენ, დარბიან. უკან მისდევენ მამასახლისი თავის თანაშემწით და მოუთმენლად ელიან, აი საცაა გამოვარდება ნადირიო.

მაგრამ რის ნადირი?—ნადირის ჭაჭანებაც არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუერი რა არის?—ერთი საცოდავი მწუერიც არ ამოფრენილა უანიდან. წისქვილისაკენ იმდენივე კურდღელი ნახეს, რამდენიც ამ ჩემს ხელის გულზეა. არა, აქ რაღაც უცნაური ამბავია. სამი საათის ტანტალის შემდეგ მონადირეებს ქანცი გაუწყდათ და მაინც ვერა გაიგეს-რა. ზოგჯერ შედგებიან და ეურს უგდებენ, შორიდან თოფის ხმა ხომ არ ისმისო.

მაგრამ არსაიდან ხმა, სრული სიჩუმე დასდებია ტუესა და მინდორს. მამასახლისს ისეთი ბრაზი მოსდის, რომ საცაა ცრემლი წასკდება.

სოფელში-კი სულ სხვაა. საუდრის გუმბათი და ბანები ჩიტებისაგან შავად მოჩანს. ბატონის ცისე-დარბაზის კოშკებზედ სამოცამდე ხოხობი შემჯდარა, ხეებში გვრიტების ტევა არ არის.

მღვდლის მოახლე დილაზედ ქათმების გამოსაშვებად რომ გამოვიდა და ბაღი კურდღლებითა და შველებით სავსე დახვდა, კინაღამ არ გადირია. კივილი მორთო: არიქა, მიშველეთო! თითონ მღვდელსაც თურმე ვერა გაეგო-რა. ალბათ სასწაული რამ იქნებაო, თორემ ნადირი მარტო საუდარსა და ჩემს ბაღს რად შემოეფარებოდაო? ასეა თუ ისე, ნადირს მაინც ნუ დავაფეთხობთო.

ჰატარა გოგო-ბიჭებს ძალიან უხაროდათ ამდენ ჩიტების მოსვლა და საკენკს უხვად უყრიდნენ.

ამასობაში შუადღემ მოაწია და წირვაც გამოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამასახლისი სოფელს დაბრუნდა ცხვირ-პირ ჩამოშვებული. მას აქეთ რაც ნადირობა დაუწყია, პირველად მოსულა ნადირობიდან ასე ხელ-ცარიელი! გზაში მეველე დაეწია. ერთად მოდიან და ნადირის გაწყვეტაზედ ლაპარაკობენ. უეცრად მამასახლისის თანაშემწე შედგა და საუდრის გუმბათი უჩვენა. ამავე დროს ჭიკჭიკიც მოესმათ.

მამასახლისი სასტად დარჩა.— სიზმარში ხომ არა ვარო? მაგრამ რის სიზმარი! დახე, აქეთ ბანზედ კაბის გუნდი, იქით — ხოხბისა, ეს მუხა გვრიტებით სავსე, კანცელარიის ბანზე-კი მწყერები ნავარდობენ. ეს რომ ნახეს მამასახლისმა და მისმა თანაშემწემ საჩქაროთ თოფები გასტენეს და დაუმიზნეს... მაგრამ მეველემ არ დააცალა.

— უკაცრავად არ ვიყო, მაგას-კი ვერ დაგანებებ. სოფელში ნადირობის ნება არა გაქვთ, თუ არ დაიშლით ოქმს შეგიდგენთ.

— რაო? მე, სოფლის პირველს მოხელეს, მიბედავ?...

— ჩემი მოვალეობა ეგ გახლავს, ბატონო მამასახლისო. ასე რომ არ მოვიქცე, სხვებიც მოინდომებენ თქვენსავით ნადირობას და მაშ კანონს რაღა ძალა ექნება?

უნებლიეთ რომ თოფი არ გაესროლა და ამისთვის ჯარიმა არ გადაესვდევინებინათ მამასახლისი ეაიქცა შინისაკენ. ეს რომ ნახეს ფრინველებმა, დასცეს ერთი უშველებელი კიჟინა. კაკბები იფსრიწებოდნენ, შაშვები უშტვენდნენ, ხოხბები ძალაუებს გადადიოდნენ და ასე მიაცილეს მამასახლისი სახლამდე. მამასახლისი შინ რომ მოვიდა და უღონოდ სკამზედ დაეშვა, ცოლმა უცხო და საკვირველი ამბები დაახვედრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კურდღლები და შველები ნახეო?

— არა. სადა ეგა?

ბეჩა, და მღვდლიანთ ბაღში! საგსეა იქაურობა... ირმები?

— რაო, ირმებიცა?...

მამასახლისი ჯავრით წვერებს იგლეჯდა. ფრინველებს კი ამ დროს ერთი ოამაშა ჰქონდათ. რაკი მონადირე ვინმე სოფელში ფეხს შემოდგამდა, ხელ-ახლად გაიმართებოდა ისევ ის ამბავი. ძაღლი ეეფას დაიწყებდა, მონადირე თოფის ტენას. დაუმიზნებდა თუ არა, ჰუჰუს! მეველეც მაშინვე გაჩნდებოდა... და ასტუდებოდა ერთი სიცილი და კიჟინი ნადირისა.

ოღონდაც რომ ბედნიერი და მხიარული კვირა-დღე გაატარეს!

როცა დაღამდა იასამანა მივიდა, მღვდლის ბაღის კარი გააღო და ფრრიი... მთელი ნადირი ტყისა და მინდვრისკენ გასწია.

მეორე დღეს დილას ნადირი ისევ შემოვიდა სოფელს და დაღამებისას ისევ წავიდა.

ასე და ამგვარად იქცეოდა ყოველ დღე, ვიდრე იასამანამ არ წაიკითხა კანცელარიის კედელზე გაკრული განცხადება, რომ ნადირობის ჟამი დასრულდაო, და ეს ამბავი თავისიანებს არ შეატყობინა. იმ დღიდან ნადირმა სოფლიდან ფეხი ამოიკვეთა.

ალ. სარაჯაშვილი.

(ფრანგულიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაფოტა თევზის თავ-გადასავალი.



წარმოიდგინეთ წუნარი დამშვიდებული ტბის წულის ხორეტი, რომელსაც მთელი ნაპირები ბალახებითა აქვს შემოსილი. ზაფხულის მზის სხივები ლამაზათ ეთამაშებიან წულის სარკეს; ატეხილ ლელს შორის ჯგუფ-ჯგუფათ მოჩანს მშვენიერი მაღალი ლერწამი, წვერ-ფოჩებიანი. წულის ნაპირიდან მოისმის ზარივით ხმა ღალღებისა, იხვებისა. ციდან ქორი მუშტრის თვალით დასტრიალებს ამ არე-მარეს... მაგრამ დავანებოთ თავი ყველა ამას, და ჩავისედოთ წუალში, წულის ძცენარეთა ტუეში.

წულის ხავსში დაცურავენ ჰატარ-ჰატარა ჭიჭუინები, ესენი არიან, ჰატარა ნაფოტა თევზები, რომლებიც ხან წულის სიღრმეში გაცურდებიან, და ხან მარდათ ამოსტიან მზისაგან გამთბარ წულის ზედა პირზე.

ეს ჭიჭუინები ჯერ იმდენათ ულონონი არიან, რომ არ შეუძლიათ მოგლიჯონ რამე მცენარე, ან გადაულაპონ

ჰატარ-ჰატარა მატლები და მუმლები, და მით ისაზრდოონ, დროებით მათ საზრდო მარტო წყალია. თუმცა ჩვენ ასე გვგონია, რომ მარტო წყალი, მაგრამ ვცდებით. ამ წყლის წვეთებთან ერთათ თევზებს ჰირში ჩასდით ჰატარ-ჰატარა წყლის ცხოველები, რომლებსაც ადამიანის თვალი ვერ შენიშნავს, მაგრამ ჰაწკუნა თევზებისათვის-კი ეს დიდი საზრდოა.

როდესაც ეს ჭიჭყინები მოიზრდებიან, იქერენ უფრო მოზრდილ მწერებს: მატლებს, ლოკოკინებს, ბუზებს და სხვა.

დიდ განსაცდელში არიან ეს ჰატარა ულონო თევზები. ამათ მუდამ სდევნიან უფრო დიდრონი ღონიერი მტაცებელი თევზები.

ჩვენი ნაფოტა თევზი, რომლის თავ-გადასავალიც მინდა ახლა გიამბოთ, ისე მოიზარდა, რომ მას აღარ ეშინოდა ღორ-მუცელა ქორჯილასი და თევზი-ულაპია ფრინველებისა. იგი თითქმის ერთ გირვანქამდის იწონიდა, ასე რომ დიდ ქორ-ჯილასაც ადვილათ ვერ შეეძლო მისი გადაულაპა. მართალია ჩვენი ნაფოტა ასე მოიზარდა, მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც კიდევა ჭეავს საშიში მტერი, რომელსაც მთელ თავის სიცოცხლეში უნდა ერიდებოდეს,—ეს მტერი ღორ-მუ-ცელა ქარი-ულაპია თევზია.

ჩვენ ნაფოტა თევზს ჯერ არ მოსვედრია ქარი-ულაპიას ჰირი, და ამიტომაც ტანზე არასოდეს არა ჭქონია არც წყლული

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არც გაუხაჭნილი. მას ტანი შემოსილი აქვს სუფთა ვერცხლისფერი ქერქით, რომელიც მუცელზე უფრო მოთეთრით მოჩანს და ზურგზე უფრო მუქათ. მის მშვენიერ ტანს ამშვენებს დიდრონი წითელი თვალები, ერთი სიტყვით, ნაფოტა ნამდვილი ლამაზი და მოხდენილი თევზია.

გაზაფხულდა. ამწვანდა ბალახები. ჩვენი ნაფოტა თევზი გასრიალდა წუნარ წულის ხორეტში, სადაც ბლომათ მოიპოვებოდა ეოველგვარი საზრდო. აქვე მახლობლათ ცხოვრებდენ ქარჩხანა თევზებიც, საშინელი ზარმაცები, რომელთაც ზევით ამოსვლა ეზარებოდათ, და ამიტომ უფრო მეტ დროს წულის მცენარეების ფესვებთან ატარებდენ და, როგორც გოჭები, ცხვირით ჭექდენ წულის ლამს.

წითელ-თვალა ნაფოტა-კი სულ სხვა თვისებისა იყო: საშინელი ცქვიტი, მოუსვენარი, არ შეეძლო დიდხანს ერთ ადგილს გაჩერება. წულის მცენარეთა შორის ისე დასრიალებდა, თითქოს ვერცხლის ისარიაო. როგორც-კი მზე ჩავიდოდა, ნაფოტა დაიწყებდა წულიდან ხტომას და იჭერდა ჭაერში მწერებს. ამდროს რომ დაგენახათ ნაფოტა, იტყოდით: «ეს თევზი რა ლამაზათ თამაშობსო!» — მაგრამ ეს თამაშობა-კი არ იყო, არამედ ამ დროს ნაფოტა საზრდოობდა, მწერებს იჭერდა და დიდ განსაცდელშიაც იყო; ზევიდან ეშინოდა თევზი-ულაჰია ფრინველებისა და ქვეიდან ქარი ულაჰია თევზისა, რომელმაც საშინელი მიჰარვა იცის.

წულის ხორეტში ბლომათ გაჩნდენ ეველა მტაცებელნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოსვენებას არ აძლევდენ ნაფოტა თევზებს. წითელ-თვალა ამჩნევდა, რომ ყოველ დღე მისი ამხანაგების რიცხვი კლებულობდა, ამიტომ მან გადასწყვიტა თავი დაენებებინა წყლის ხორეტისათვის და საცხოვრებლათ უფრო უშიშარი ადგილი მოენახა. დიდი სიფრთხილით დასტოვა ნაფოტამ ეს ადგილი და შესრიალდა ფართო ტბაში.

წყალი ამ ტბაში უფრო ანკარა და ღრმა იყო. ტბის ძირში ლამი იყო დალეკილი. აქა-იქ მოჩანდა ლამში ჩაფლული შავი ფიჩხები, ჯირკვები და მათი ფესვები. ყველა ამაებს ნაფოტა ერიდებოდა, შორს უვლიდა, ყველგან ქარი ულაპია თევზი ელანდებოდა.

მართალია, ჩვენი ნაფოტა თევზი ასე ფრთხილობდა, მაგრამ ერთხელ, ცოტა გაწყდა, კინალამ მართლა ჩაუვარდა ქარი-ულაპიას ჰირში; შეცურდა ნაფოტა წყალში იქითკენ, სადაც გამხმარ ტოტებ ქვეშ ჰატარა თევზები იმალებოდენ და უცებ ამ ფიჩხებში შენიშნა თავისი მტერი ქარი-ულაპია!.. ელვასავით გასრიალდა ნაფოტა აქედან სხვა მხარეს; ეს ისე სწრაფათ მოხდა, რომ თითონაც ვერ შენიშნა, თუ როგორ მოიფიქრა ასე კარგათ.

თევზები საზოგადოთ ამ ტბაში ცოტა იყო, ყველა გაფანტული იყო წყლის ხავსებში. ჩვენ ნაფოტას შეხვდა ხროვა ქორჯილა თევზებისა, რომლებიც სადღაც მიეშურებოდენ, ამათ ნაფოტას ჩხვლეტა დაუწყეს, ამიტომ ნაფოტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებული შეიქნა ღრმა ლაბში ჩამალულიყო, სანამ ქორ-ჯილების სროვა გაივლიდა.

იშვიათად ხვდებოდა ჩვენ ნაფოტას ჭიჭყინაები, ეს უკა-ნასკნელნი, როგორც თვალს მოჭკრავდენ ნაფოტას, შიშით აქეთ-იქით გარბოდენ. ცოტა ხანს შემდეგ ნაფოტას ერთი თავისი ამხანაგიც შეხვდა, მაგრამ საზარელი სანახავი იყო: კუდი დაჭრილი, ზურგი ჩასისხლებული და წელულებში მატ-ლები ესია. საწყალი ნაფოტა, ქარი-ულაპიას კბილებისაგან მთლათ დამახინჯებული, დიდი ტკივილითა და შიშით მი-ცურავდა, თითონაც არ იცოდა საით.

ძალიან გაეხარდა დაჭრილ ნაფოტას, როდესაც თავისი ამხანაგი წითელ-თვალა ნაფოტა ნახა და სწრაფათ გაედევ-ნა უკან, თითქო შველას მისგან მოელოდა. მაგრამ დიდხანს არ მოუხდათ ერთათ მგზავრობა: ძირიდან ერთბაშათ ამო-სრიალდა მძიერი ქარი-ულაპია, მივარდა დასუსტებულ, არა-ქათ-გაწყვეტილ ნაფოტას და ჩვენ წითელ-თვალას წინ უცებ გადაულაპა.

დარჩა წითელ-თვალა ისევ მარტო. საშინლათ შიოდა. როდესაც სორეტიდან გამოცურდა, მას შემდეგ მართალია ერთი მწერი შეხვდა, რომელიც მაშინვე გადაულაპა, მაგრამ მარტო ერთი მწერი რას გააძღობდა, უფრო შიმშილი აუ-ტეხა. ძირს რომ ვერა იშოვა-რა, წითელ-თვალა ზევით ამოცურდა და მზისაგან გამთბარ წყლის ნაპირს მოადგა. დახეთ მის იღბალს! წითელ-თვალამ წყლის ზედაპირზე და-

ინახა ბევრი მწერები (თევზების დარაჯები—ბუზები). ის საკმარისათ გაძღა და ისევ ჩასრიალდა ქვევით, მონახა მცენარეების ფესვები, მიიმალა მათში და მშვიდობიანათ მიიძინა.

შუაღამე იყო. ამდროს თევზებს ძილი უყვართ. წითელთვალამ საღამოზე, კარგათ რომ დაისვენა, განაგრძო გზავრობა. წყლის მიდამოებში დიდი ცვლილება შენიშნა. შეხედა რიყეს, რომელსაც აქეთ-იქითა ნაპირები შემოსილი ჰქონდა ბალახებითა და ლერწმებით. აქ წყალი უფრო ცივი და წმინდა იყო. ჩვენი ნაფოტა ლაყუჩებით თავისუფლათ სუნთქავდა. იმან გაიარა იმ ლუბრმაში, რომელიც დიდ ტბას უერთდებოდა. მიცურავდა სულ ძირ-ძირ, აფთხობდა კლდის თევზუნაებს. დიდ შიშში იყო. ნაფოტამ კარგათ იცოდა, თუ ცოტა ზევით წყლის ნაპირს გამოვიდოდა, უსათუოთ რომელსამე მტაცებელს ჩაუვარდებოდა ჰირში.

გათავდა მცენარეებით შეკოსილი ნაპირი. დაიწყო ოღრო-ჩოღრო თიხიანი ნაპირები—გამოქვაბულები და გამოღრუტნულები. ზოგიერთი სოროებიდან კლაკვნით გამოიყურებოდენ შავი ჭიაყელები. ამათ დანახვაზე ჩვენ ნაფოტას მადა ეხსნებოდა, მაგრამ ერთბაშათ ვერ ბედავდა მივარდნას, იმას ეჭვი ჰქონდა, რომ ჭიაყელები-კი არა, ვაი თუ საზიზღარ კიბოს ულვაშები ეოფილიყო.

გამოუცდელ თევზს მართლაც კიბოს ორი ტკეცფეხი ჭიაყელები ჰგონია. თუ ახლოს მიცურდება, კიბოსაც ეს უნდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინვე შეითრევს თავის სოროში, მოიწვევს ამხანაგებს, ერთათ დაესევიან საცოდავ თევზს და მარტო ფხებს-ღა დაარჩენენ.

კიბოები უფრო ჰატარა თევზებს ემტერებიან. სამაგიეროთ კიბო არის უმთავრესი საზრდო მოზრდილ თევზებისა, მეტადრე მაშინ, როდესაც კიბოები კანს იცვლიან, და ტანი ურბილდებათ. ამდროს იმათ სოროს მთელი საათობით დარაჯობენ ქორჯილები და სხვა-და-სხვა დიდი თევზები.

მიცურავს ჩვენი წითელ-თვალა და ხედავს: აგერ წელის მირში ოსტრიას გაუღია თავისი ხამანწკა და იწუწნის წყალს, იკვებება, იქვე ახლოს მოჩანს კიბოს სოროც. გამოჭეო კიბომ თავი და ოსტრიას დანახვაზე მადა გახსნილმა მოინდომა მისი შეჭმა. მიცოცდა უცებ და ჩაავლო ოსტიას ორივე ტკეცფეხი. ოსტრიამაც იმწამს დახურა თავისი ხამანწკა და კიბოს ორივე ტკეცფეხი შიგ დაატანა. ოსტრიამ კიბო დიდხანს ათრია ქვიშაში, კიბოს უნდოდა როგორმე თავი დაეხწია, მაგრამ ოსტრიას მაგრა ეჭირა, არ უშვებდა თავის ხამანწკიდან კიბოს ტკეცფეხებს. ბოლოს, როგორც იყო, კიბოს ერთი ტკეცფეხი მოეწყვიტა, მეორე ტკეცფეხი ამით გაინთავისუფლა და მოჭკურცხლა სოროსაკენ. მართალია კიბომ ერთი წინა ტკეცფეხი დაჭკარგა, მაგრამ ამაზე სულაც არ დარდობდა, რადგან იცოდა, რომ ისევ მალე გამოებმოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც-კი ოსტრიას კიბო თვალიდან მოშორდა, გაალო ხამანწკა, კიბოს ტკეცვეხის ნაწუვეტები წყალს მისცა და მოშორდა ამ ადგილს.

ჩვენმა წითელ-თვალამ კიდევ ერთი რაღაც საკვირველი რამ შენიშნა წყლის ნაპირის გამოღრუტნულში, მისი მსგავსი თავის დღეში არა ენახა-რა. პირველათ მას ნალო ეგონა, მერე კარგათ რომ ჩააკვერდა, ერთბაშათ იცნო თევზის დიდი ბოლო და საშიშარი დიდი თავი, რომელიც ძალიან მიაგავდა ბაყაყის თავს, წინ ცხვირზე დიდი ულვაშები ჭქონდა გამოშვერილი. ეს იყო ლოქო, რომელიც ჩაწოლილიყო ღრმა წყალში და ბოლოსა და ულვაშებს ოდნავ ანძრევდა.

ჩვენ ნაფოტას შიშის ზარი დაეცა, იმწამსვე ქვას ამოეყარა და იქიდან დაუწყო მზერა ამ თავზარ-დამცემ თევზს. ლოქოს ცქერაში, ერთბაშათ ნაფოტას ახლო გასრიალდა ქარი-ულაპია თევზი. ქარი-ულაპია მიცურდა სწორეთ იმ ადგილას, სადაც ლოქო იყო მიმალული. მაგრამ დაინახა თუ არა ქარი-ულაპია შეჩერდა, ამ საცოდავს თავის საშველათ ერთი წამიც არ დასცალდა, ისე უცებ გადაულაპა ლოქომ ქარი-ულაპია თავისი უზარმაზარი პირით, თითქო ქორჯილამ ჭიჭყინა გადაულაპაო. წითელ-თვალამ ისარგებლა ამით, იქვე მუცელთან გაუსრიალდა ლოქოს და თავს უშველა.

წითელ-თვალა მალე მიცურდა იმ ადგილს, საცა წყალი პატარად ჩაქუხდა. აქ არ მოიპოვებოდა ღორ-მუცელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტაცებელი თევზები. ძირს ქვიშაში დაცურავდენ პატარ-პატარა კლდის თევზები და სხვა წვრილმანი ჯიჯუინები.

ნაფოტამ ძლივს თავისუფლათ ამოისუნთქა, შიში აღარაფრისა ჰქონდა და გადასწყვიტა აქ დარჩენა.

წულის ერთი ნაპირი დაბურული იყო თხმელის ტოტებით. წითელ-თვალამ იფიქრა, აქ უფრო მეტ საზრდოს ვიშოვიო, და დაბინავდა. არც მოსტეუვდა. აქ ბევრი სხვა წვრილი თევზებიც ბუდობდენ, თხმელას ქვეშ, რომლებიც ხიდან ჩამოცვინულ მწერებით იკვებებოდენ. როგორც-კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარი შემოუბერავდა თხმელას, ფოთლებიდან ცვიოდა ათას გვარი ჭია-ღუა, უფრო უავისფერი ბუსანკლები. ჩვენმა წითელ-თვალამ ამაებით კარგა მოიძღო მუცელი, ჩაცურდა ძირ ტლეში, რომელიც კარგა იყო დაფარული მწვანე ხავსით და ტკბილათ მიიძინა.

გავიდა ზაფხული. წითელ-თვალა ისევ ჩახრიალასთან ცხოვრობდა და დიდი კმაყოფილიც იყო. დადგა შემოდგომა. საზრდოს შოვნა გაჭირდა. მწერები გაწყდენ. წითელ-თვალამ ახლა წულის ბალახის ჭამას მიჰყო ხელი. ჩვეულებრივ ნაფოტა ახლაც ასრიალდებოდა ხოლმე თხმელის ძირში ჭია-ღუების საჭმელათ, მაგრამ უარარაოთ ბრუნდებოდა. ერთხელ ჩვენი წითელ-თვალა თხმელის ძირში დაცურავდა, ელოდა, იქნება თხმელის ფოთლებიდან რამე ჭია ჩამოვარდესო, მაგრამ ამაოთ ელოდებოდა.

ერთბაშათ რაღაც უცნაური ხმა შემოესმა. წითელ თვალას უნდოდა შორს გასრიალებულიყო, მაგრამ ამ დროს უავისფერ ბუსანკალს შეასწრო თვალი და შეჩერდა ადგილზედ.

ეს ხმა კაცისა იყო.

— ერთი შეხედე, ვანო, რა ზორბა ნაფოტა-თევზია! მიუგდე ბუსანკალიანი ანკესი, იქნება ჰირი წაავლოს და ხელში ჩაგვივარდეს.

— ვეცდები, ბიძიავ, უსათუოთ დავიჭერ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწუალი წითელ-თვალა ვერაფერს მიხვდა, მიენდო მოღალატე ბუზანკალს და წაავლო ჰირი. ერთბაშათ იგრძნო, რომ რაღამაც უჩხვლიტა ზედა ტუჩში და მაღლა ასწია.

ერთ წუთს შემდეგ ჩვენი წითელ-თვალა ეგდო სრულიად უცნობ ადგილას ბალასზე და ოდნავ სუნთქავდა.

— რა კარგი რამ არის! ამბობდა ვანო — ცოტა ასე დიდი რომ არ იყოს!

— არა უშავს-რა, შენიშნა ბიძიამ, ქარი-ულაჰია აქ დიდები იცის, იქნება ლოქომაც მოავლოს ჰირი. აბა, მალე ჩაავლე ანკესი, მინამ ცოცხალია და ჩაუშვი წყალში, აი იმ მორევში. ძალიან ნუ ჩაავლებ ანკესს, თორემ მალე მოკვდება.

წითელ-თვალამ წელზე იგრძნო ტკივილი, როცა მაღლა ასწიეს და წყალში ჩაუშვეს. წითელ-თვალას გაეხარდა. ხარბათ დაუწყო წყალს ლაყუჩებით სუნთქვა, გაიწია რომ გაცურებულიყო, მაგრამ ვერ შესძლო, ზურგში რაღაც უჭერდა, თან სტკიოდა და ამიტომ შორს ვეღარ გასრიალდა. ცოტა შეისვენა, შემდეგ მეორე მხარეს გაიწია, მაგრამ ისევ ზურგის ტკივილმა დაიჭირა. ტუილათ ეხლებოდა აქეთ-იქით საბრალო წითელ-თვალა, ზურგში ჩარჭობილი ანკესი არსად არ უშვებდა. მიხვდა, საბრალო, რა მდგომარეობაშიაც ჩავარდა, უნდა მდგარიყო ერთ ადგილს ამ მორევში, სადაც, შეიძლება, ოთველ წამს გამოჩენილიყვენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი მტრები-თევზები და ჰირი წაევლოთ საბრალო ნაფოტასათვის.

საცოდავათ გაიცქირებოდა წითელ-თვალა აქეთ-იქით, ათვალიერებდა ისეთ ადგილს, სადაც დამალვა შესაძლებელი იყო. ბოლოს შენიშნა მცენარე ბუგრის დიდი ფოთოლი, წითელ-თვალა მიცურდა ამ ფოთოლთან და ამოეფარა. ახლა-კი ცოტა იმედი მიეცა, რომ მტერი ისე ადვილათ ველარ შენიშნავდა.

დიდხანს მოთმინებით იყო ამ ფოთოლ-ქვეშ ჩვენი წითელ-თვალა. მართლაც წინ გამოუარა ქარი-ულაპიამ და ვერ შენიშნა ჩვენი წითელ-თვალა. წულის ზემოდამ კიდევ მოისმა საზარელი ხმა:

— შვილო, ვანო, რასა შვრება ჩვენი ცქვიტუნა? დაცურავს?

— დაცურამს-კი არა: მიმალულა ფოთლებ-ქვეშ... იქ ვინ დაინახავს?..

— რა ოხერია ნაფოტა თევზი!.. ეშმაკი და მოხერხებული... აიდე შენცა და ფოთოლი მოგლიჯე.

წითელ-თვალა ისევ დარჩა თავშეუფარებელი, ჩანგალზე ჩამოკიდებული. საბრალო შიშისაგან ვერ ინძრეოდა, ასე ეგონა ეს-ეს არის მტერს ჰირში ჩავუვარდებიო. ამ დროს მორევში რაღაც ამბავი შეიქნა, წყალი აღელვდა, აბობოქრდა, თევზების შხაპა-შხუპი მოისმოდა; ხტებოდენ წყალ-ზევით ჭაერში და ისევ წყალში ტაპანი გაჭქონდათ. ზოგიერთი თევზები წი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელ-თვალას წინაც სრიალებდენ, შიშისაგან გიჟებივით აქეთ-იქით აწუდებოდენ, თითქო ვიღაც უკან გამოსდგომიათო. მორევში დიდი ლოქო დაცურავდა და თევზებს დაეძებდა.

წითელ-თვალამ ლოქოს დანახვაზე რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაიწია, მოიგლიჯა ზურგზე ტუავი, ჩანგლისაგან განთავისუფლდა, ელვასავით ჩასრიალდა ძირს და მიიმალა. მთელ ღამეს წითელ-თვალა მიმალული იყო.

გათენებისას წითელ-თვალამ ისევ ჩახრიალისაკენ გასწია. აქ ჩქარმა და სუფთა წყალმა ზურგი გაურეცხა და მალე მოურჩა, მხოლოთ ზურგზე თეთრი ნიშანი სამუდამოთ დარჩა, ქერქლი აღარ ამოუვიდა. ამ ავათმყოფობის დროს წითელ-თვალამ ძალიან იკლო. ისე იყო შეშინებული, რომ შიშით ვეღარ ბედავდა წყლის ზედა-პირზე ჭია-ღუის დასაჭერათ ამოსვლას, და მხოლოდ კლდის თევზებთან და სხვებთან ერთათ ქექდა წყლის ლამს, ეძებდა შიგ ჭია-ღუებს და ზამთრამდის ასე იკვებებოდა, იქაური ჭიაუელები ძალიან გემრიელები იყვნენ და ჩვენი წითელ-თვალა ისევ მოკეთდა.

როცა მდინარე ეინულმა დაჭყარა და ჩახრიალაში წყალმა იკლო, ნაფოტა ისევ ღრმა ტბაში გასრიალდა, სადაც უფრო თბილოდა და იქ გაატარა მთელი ზამთარი.

ვ. მიქაბერიძისა.

(გადმოღებული)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანე ზუბალაშვილი.

პატარა მკითხველებო! თუ არ იცით, სახელი რას ჰქვია, გთხოვთ, ცოტა ხანს ყური მათხოვოთ.

ყოველი ადამიანი უსახელო იბადება, მაგრამ-კი კვდება ისე, რომ ორი სახელი რჩება: ერთი სახელი, რომელიც ნათლობის დროს დაურქმევიათ მისთვის და გამხდარა სახსოვრად მის ნათესავთა შორის, ხოლო მეორე სახელი თვითონ მას შეუძენია და სახსოვრად, ნათესაევებს გარდა, სხვებისთვისაც გამხდარა, ხან რომლისამე საზოგადოებისთვის, ხანაც ქვეყნისთვის, მაგრამ ეს სახელი ისეთი როდია, დასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძახებლად გამოდგეს, როგორც მაგ. ივანე, მათე და სხვა. არა, ეს სახელი ადამიანს გამოაჩენს თვითონ ან კეთილად, ან ბოროტად, ასე რომ ადამიანს ზოგს კეთილი კაცის სახელი აქვს, ზოგს კიდევ ბოროტისა, ზოგი ხომ სულ უსახელოა.

კეთილი ადამიანი იქმნება, ვინც თავისს გონებას თავისს ქონებას კეთილად ხმარობს, ესე იგი, ვინც ამ ორთავ ნიჭს, როგორც სულიერს, ისე ნივთიერს სიმართლის სამსახურს ჰსწირავს, სიმართლის სიყვარულით გამსჭვალული. სიმართლის სიყვარული-კი ისეთი რამ არის, რომ მისი პატრონი, გონებიანი იქნება, თუ ქონებიანი, შეუძლებელია, დაჩაგრულ, გაჭირვებულ მოძმეს არ დაეხმაროს, ხელი არ გაუმართოს. კეთილი ადამიანი გონებიანიც და ქონებიანიც ორნივ მოღვაწედ ითვლებიან ერთი მწერლობით, თუ ხელოვნობით, ხოლო მეორე კეთილ მყოფელობით, ანუ ქველმოქმედებით.

სტეფანე ზუბალაშვილიც, რომელიც ქართველობამ გასული ენკენისთვის ოცდა-შვიდს მიაბარა შავ მიწას და საუკუნოდ გამოეთხოვა, ქველმოქმედებით იყო გათქმული, ესე იგი მოყვარული იყო კეთილის საქმისა და ასეთი საქმე სწავლისა და კეთილზნეობის გავრცელება იქმნებოდა, თუ ღარიბის, გაჭირვებულის დახმარება, თავის ქონებას უხვად ჰსწირავდა, მაგრამ იმიტომ-კი არა, ექოთ და მადლობა გადაეხადათ, არამედ იმიტომ, რომ მისი ბუნება მოითხოვდა, კარგად მცოდნე მისი, რომ ღვთის ბოძებული ქონება მოძმის სარგებელიც უნდა ყოფილიყო.

სტეფანე ზუბალაშვილი ქართლელი აზნაურიშვილი იყო, კარგი ოჯახიშვილი. მათი გვარი ძველადგანვე სოვდაგრობით იყო განთქმული და მამა მისმა კონსტანტინემ ხომ სოვდაგრობა რომ ალარ იკმარა, ნავთის მრეწველობას მოჰკიდა ხელი. ნავთის მრეწველობა იგივე ნავთის შოვნაა და ჩვენს ქვეყანაში ნავთი მხოლოდ ბაქოში იშოვება, დედამიწის გულშია და თუ მარჯვე ადგილს ღრმად ჩადგმულმა ბურღმა უწია, მაშინვე ამოხეთქს შადრევანად, რომელიც დღეში ამოისერის რამდენსამე ათას ფუთსა, რასაც ათასობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშები დიდრონ აუზებში აგროვებენ. ასეთი ნავთის შადრევნები განსვენებულ სტეფანეს ბევრი ჰქონდა და კიდევ უფრო ბევრი ჰყავდა მუშა.

მისი გულკეთილობა პირველად ამ მუშებმა იგრძნეს. არა თუ გადაჭრილი სამუშაო ფასის მიმცემი იყო ქველი სტეფანე, არამედ ნამდვილი მფარველი და შემწე თავის მუშებისა, რაკი იცოდა, რომ მისი აუარებელი ქონების შემძინებელი მუშებიც იყვნენ აგრეთვე. ამიტომ გულში ჩაუვარდა საერთოდ მუშების გონებრივ და ზნეობრივ განვითარების აზრი, რომლის განხორციელება საუმჯობესოდ დაინახა ჩვენს დედა-ქალაქში ტფილისში და კიდეც ააგო სახალხო სახლი, სადაც საკითხაი, წარმოდგენები და სიმღერები სახალხოდ იქნება გამართული. სტეფანე გულ-კეთილი და მოწყალე მამა იყო საწყალი ხალხისა, რომელიც მხოლოდ მისი ნამოწყალებით ირჩენდა თავსა, ხელს უმართავდა გაჭირვებულ ახალგაზდობას, რომ სწავლა მიეღოთ რუსეთში, თუ სამზღვარ გარეთ. განსაკუთრებით ეფიქრებოდა ბედი იმ დიდი სასწავლო შენობისა, რომელიც ტფილისში ვერაზე კეთდება თავად-აზნაურთა შვილებისთვის და რომელსაც შესწირა დიდ ძალი ფული, ეფიქრებოდა ბედი აგრეთვე ქართული წიგნების და ჟურნალ გაზეთების გამოცემისა, რომელთა შორის ჩვენ ჯეჯილსაც მიაქცია ყურადღება და ყოველ წლივ აწოდებდა ფულს, რომ ღარიბ სკოლებს და თვით ოჯახებსაც მისვლოდათ მუქთად ჟურნალი. ქართული წარმოდგენების გამართვისა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელების საქმეც არ დააგდო უნუგეშოდ, რისთვისაც გაიღო საკმაო ფული, რაკი იცოდა, რომ თეატრი ადამიანის სიკეთეს და ზნეობის სიწმინდეს, ხოლო წერა-კითხვის გავრცელება და ჟურნალ-გაზეთების და წიგნების გამოცემა გონების განვითარებას ემსახურება.

მაგრამ საუკუნო ძეგლი, რომელიც განსვენებული სტეფანეს სახსენებელს უკვდავს ჰყოფს, ის ტაძარია, რომელიც მან აღაშენა ქართველ კათოლიკეთათვის დასავლეთ საქართველოს ქალაქ ბათომსა. ააშენა არა თავის სადიდებლად, არამედ ჭეშმარიტის სარწმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოებით აღძრულმა, რა-კი უწყოდა, რომ მორწმუნე ადამიანის სულისთვის უშიშარი საყუდელი ამ შფოთიანსა და მღელვარე ცხოვრებაში წმინდა ტაძარია. ამ ძეგლის ამართვით თითქო სურდა ეთქვა, თუ ბათომი ნავთ საყუდელია, მისი ტაძარი, ჩემი აშენებული მორწმუნე სულთ საყუდელი შეიქმნესო.

რა იყო უმთავრესი მიზეზი მის, რომ განსვენებული სტეფანე ასე უზომოდ გულ-კეთილი და ქველ-მოქმედი იყო? ქველობა მას უანდერძა განსვენებულმა დედა მისმა თავად თუმახაანთ ქალმა ელისაბედმა, რომელიც თურმე ღარიბს ხელ ცალიერს არ გაუშვებდა და თანაც ეტყოდა, წადი არავინ გინახოსო. მაცხოვრის მცნება გიყვარდეს მოყვასი, როგორც თავი შენიო, დიახ გასაგები და ადვილ შესასრულებელი შეიქმნება, თუ ადამიანს სათნოებიანი და ქველი დედა ეყოლა და ქველი ელისაბედის გაზრდილი სტეფანეც ხომ მოყვასთა სიყვარულისთვის არაფერს იშურებდა და აკი იმდენიც გაიმეტა, თუმცა ჯერ კიდევ შუა ხნის კაციც არ იყო.

სამწუხაროა, რომ ასეთი ადამიანი მაშინ მოკვდა, როცა ქველმოქმედების გრძნობა სრულად არ ჰქონდა ჯერ გაფურჩქნული და აყვავებული. სწორედ მისთვის ითქმის, დედამ რომ შვილი გაზარდოს, ე მაგრე შენისთანაო.

განსვენებული სტეფანე უშვილო იყო და არც ეძებდა მამაობის გვირგვინსა, რადგანაც ყოველი გაჭირვებული და ობოლი ახალგაზდა მას შვილად მიაჩნდა და მისმა პატიოსანმა ძმებმა ლევანმა, იაკობმა და პეტრემ განსვენებული სტეფანეს სახსოვრად ამ პატარა საწყლების საავადმყოფოს ასაშენებლად დიდძალი ფული შესწირეს ქალაქსა.

სამაგიეროდ, თითქოს სახელის გასამართლებლადო, რადგანაც სტეფანე ბერძნულად გვირგვინს ჰნიშნავს, ქველმა სტეფანემ თავს დიდგა გვირგვინი, მაგრამ ქორწინებისა-კი არა, არამედ უკვდავებისა, ისიც თავისი ადამიანობით, მამულიშვილობით, მორწმუნეობით და მით ყველას დაგვიგდო ანდერძად უკვდავი შოთა რუსთაველის ბრძნული თქმულება:

ჴსჯობს სახელისა მოხვეჭა
ყოველსა მოსახვეჭელსა.

კლდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ უ ლ ა დ ი.

(მოთხრობა უიდისა).

ახლში შედი, ჯერრი, წვიმა მოდის, გაცივდები — ეუბნებოდა მოხუცებული ქალი პატარა რვა წლის ლამაზ ბიჭუნას, რომელიც, ჩალის ქუდსა და მატროსის ტანისამოსში გამოწყობილი, ბაღ'ში მიწას თხრიდა.

— არა, ჩემო ბებია, არა მიჭირს-რა. აბა ნახე, მიწა ჯერ სველი არც-კია!—ხვეწნა-მუდარის კილოთი უპასუხა ბავშმა.

— ჩემო კარგო, ძალიან მეშინია შენი გაცივებისა, შედი გენაცვალე,—გაუმეორა მოხუცმა.

პატარა ჯერრიმ ერთი-კი ამოიოხრა და უხალისოთ გაემართა სახლისაკენ, რომელიც ბაღის ბოლოზე, ხეებს შუა ძლივს გამოჩნდა. შეეიდა სახლში თუ არა, ჯერრიმ მოიხადა ქუდი და დიდ გამოცდილ მებაღესავით დაუწყო წმენდა პატარა ნიჩაბს.

— ზამბახი სულ დაურგავი დამრჩა. —გულ-დაწყვეტით წაილაპარაკა ბავშმა.

— ხვალ დარგე, შვილო, რა უჭირს.—ამშვიდებდა მოხუცი, მაგრამ ეტყობოდა ჯერრის ეს არ ანუგეშებდა.

ჯერრი და მისი ბებია მარტოთ-მარტო ცხოვრობდენ ორ პატარა ოთახ'ში, რომლებსაც წინ პატარა ბაღჩა ჰქონდათ. ეს ბაღჩა შეადგენდა ჯერრის ბედნიერებას. უშველებელ დიდ ეზოში ჯერრის და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ბებიის სადგომს გარდა სწორეთ ისეთივე ორ-ორი ოთახი ეჭირათ ჩვიდმეტ ღრმათ მოხუცებულ ქალსა და კაცს. ეს ადგილი ანდერძით იყო დატოვებული ერთი მდიდარი მემამულე ქალისაგან იმ პიროობით, რომ მხოლოთ ღრმათ მოხუცებულ ქალსა და კაცს შეეფარებინათ თავი. ბავშის შენახვის ნება არავის ჰქონდა, მაგრამ ჯერრის მიღება-კი მოხერხდა..

რვა წლის წინეთ ვიღამაც ჩვრებში გახვეული ბავში დააგდო მოხუცთა თავშესაფარის ბაღის კარებზე. მოხუცმა ქალმა ლენმა რომ დილას კარი გააღო და პატარა ბავში დაინახა, მაშინვე შინ შემოიყვანა. ბევრ ხვეწნა-მუდარას შემღეგ ნება მისცეს, რომ ბავში თავისთან დაეტოვებინა; იმანაც დიდი სიყვარულით თითონვე მონათლა, სახელათ ჯერრი უწოდა და თავის გვარით ჩააწერინა.

ჯერრი ლენი, რომელიც თავის გამზრდელს—ბებიას ეძახდა, ყველაფერში დიდი სიყვარულით და პატივისცემით ექცეოდა მოხუც ლენს. მეტათ სასიამოვნო შესახედავი ბავშიც იყო; მისი ჭკვიანი, დაფიქრებული შავი დიდრონი თვალები, წაბლისფერი თმა და ბამბასავით თეთრი პირისახე ყველას სასიამოვნოთ ეჩვენებოდა. მართალია სუსტი შეხედულობა ჰქონდა, მაგრამ საზოგადოთ ჯანსაღი ბიჭი იყო. მთელ დღეს ჯერრი ბებიასთან ან მეზობელ ბებრების ბაღჩებში ატარებდა და მიწას თხრიდა. ამ მოხუცებულებში ერია ერთი მებაღეთ ნამყოფი, რომელსაც ეხლა, თუმცა მუშაობა აღარ შეეძლო, მაგრამ ჯერრის-კი კარგათ ასწავლიდა ყოველნაირ მებაღეობასა; ჯერრიც ძალიან გატაცებით სწავლობდა ყველაფერს და განსაკუთრებით ყვავილების მოვლას. მის ბაღჩაში უმეტეს ნაწილათ ყვავილებს გაჰქონდა კაშკაში, რომლებიც ჯერრის სულ მინდვრებიდან ჰქონდა მოტანილი.

მოხუცთა თავშესაფარი, რომელსაც ხალხი „ქალბატონ ელეონორას ქოხებს“ ეძახდა, მთაზე იყო გაშენებული, ქალაქს გარეთ, და ამიტომ იქ ყოველთვის მშვენიერი წმინდა ჰაერი იდგა.

რადგან ჯერრი ღრმათ მოხუცებულ ხალხ შორის იზრდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მუდამ ესმოდა ერთი და იგივე სიტყვა: „ნუ ყვირი! არავინ შეაწუხო, ჩქარა ნუ გაიქცევი, არავის დაეჯახო და არ წააქციო“, ამიტომ ის მეტათ დინჯი—აუჩქარებელი ბავში იყო, თავ-დაჭერილი, წყნარი. ის დიდი სიფრთხილით ატარებდა ბალჩების ბილიკებზე თავის პატარა სათამაშო ურემს, ბურთაობდა და სხვა, ისე რომ არავის აწუხებდა.

— ჯერრი, როდესაც გაიზრდები, რა ხელობა გინდა რომ იცოდე?—დაეკითხა ერთხელ ბებია ლენი ჯერრის.

— რასაკვირველია, მებალეობა, ბებიაჯან!

— ეგ ხომ ადამიანის ხელობაა, შვილო!—უპასუხა ლენმა.—განა არ გინდა ზღვით ან ხმელეთით იმოგზაურო? რა კარგი იქნება! აი, ეთქვათ თბილ ქვეყნებისკენ რომ იმოგზაურო, რამდენ მშვენიერ ბალებსა და სხვა რამეებს ნახავ.

— მე მთელ ქვეყანას მირჩევნია ჩემი ბალჩის ყვავილები და თავის დღეში თავს არ დავანებებ არც იმათ და არც შენ, ჩემო ბებია!—აღტაცებით წამოიძახა ჯერრიმ—არა, არა, არსად არ მინდა წასვლა აქედან.

— ჰო, ჰო! ჩემო მტრედო, ნუ წახვალ, იყავი აქ შენ ყვავილებთან და ბებერ ბებიასთან—წაილაპარაკა თვალებზე ცრემლ-მომდგარმა ლენმა და ალერსით გადაჰკოცნა თავისი საყვარელი ბიჭიკო.

ასე ტკბილათ მიდიოდა დღეები ბებრუხანათა სამეფოში. მაგრამ ერთ დღეს თავზარ-დამცემი ამბავი გამოეცხადათ „ქალბატონი ელეონორას ქოხის“ მცხოვრებთ: ქალაქის სამმართველოში პოლიციის უფროსმა შემდეგი ქაღალდი შეიტანა: „ქალაქმა იყიდოს ქალბატონი ელეონორას“ ქოხები და მიწა, ქოხები დაინგრეს და ადგილზე აშენდეს რამე ქარხანა ან და ლაბარატორია, რომელიც გაცილებით მეტ შემოსავალს მისცემს ქალაქს იმაზე, რაც დაეხარჯებაო. ყველა იქ შეფარებულ მოხუცთ დაენიშნოთ თვიური სარჩო, რომ თავიც ირჩინონ და ორ-ორი ოთახიც იქირავონო. როდესაც ეს მოხუცნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიხოცებიან, სსვებს ნულარ მივილებთ და თანხა რაც დარჩეს ქალაქის თავშესაფარს გადავცეთო“.

საშინელი არეულობა მოახდინა ამ ამბავმა ოთახებში მცხოვრებთა შორის. იმათ ვერ წარმოედგინათ, როგორ უნდა დაენებებინათ თავი ამდენი ხნის ნაამაგარ სუფთათ დაკრიალებულ პატარა ოთახებისათვის, შვილებიანით ნაამაგარ ბალჩებისათვის და გადასახლებულიყვენ სადმე უცხო ადგილს, სადაც ვინ იცის რა ალიაქოთი იქნება, რა არეულობა!

მოხუცნი ბევრს ეცადენ რომ ეს საქმე ჩაეშალათ. ერთმა იმათგანმა, გიორგი სტირნმა, ფულიც-კი მოაგროვა, ვილასაც არზაც-კი დააწერინა და მიართვა ქალაქის მმართველობას, მაგრამ სულ ყველაფერმა ამაოთ ჩაიარა, პასუხიც არ აღირსეს.

ეს ამბავი განსაკუთრებით საწყალ ჯერრის უკლავდა გულს. თუმცა ყველაფერი კარგათ არ ესმოდა, უმალავდენ, მაგრამ ეს-კი კარგათ იცოდა, რომ უნდა მოშორებოდა თავის საყვარელ ბაღჩას, ყვავილებს, ბებერ მეგობრებს, ატყობდა რომ მოხუცებულები ყველა თავზარ-დაცემულები იყვენ და ეს ჯერრისაც აწუხებდა, გულს უკლავდა.

— განა ჩვენი შველა არავის შეუძლია?—დაეკითხა ერთხელ ჯერრი მოხუც გიორგი სტირნს.

— არავის, ჩემო კარგო, არავის,—უპასუხა მწუხარებით სტირნმა—აი, ეთქვათ პირველმა მინისტრმა რომ მოინდომოს!

— იმას-კი შეუძლია?

— რასაკვირველია შეუძლია! მაგრამ ღირს მაგაზე ლაპარაკი? ეგ ხომ შეუძლებელია!

— რა ჰქვია პირველ მინისტრს?—დაეკითხა თვალ-გაჭყეტით ჯერრი.

სტირნმა უთხრა მინისტრის სახელი და გვარი. ჯერრიმ დიდი ყურადღებით მოისმინა. შემდეგ ჰკითხა:

— სადა სცხოვრობს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უმეტეს დროს ლონდონში ატარებს.—უპასუხა სტირნმა.

— უთუოთ უნდა უამბოს ვინმემ ჩვენი ამბავი—წაილაპარაკა ჯერრიმ.

— მაგისთანა ხალხის ნახვა ისე ძნელია, როგორც მზესთან ასვლა,—უპასუხა მწარე ღიმილით სტირნმა.

ჯერრიმ ალარაფერი თქვა. ის თითქო რიღასაც იქმას აპირებდა, მაგრამ მერე გადასწყვიტა საიდუმლოთ შეენახა და ალარა თქვა რა.—ბებიასაც ვერას ვეტყვი, თორემ მაშინვე მეტყვის, სიცხე გაქვს და ბოდავო, წამალს დამალვევინებს და ლოგინში ჩამაწვენსო—ფიქრობდა ჯერრი და არას ამბობდა.

ერთ დღეს ის შეეიდა ბებიასთან და თხოვა, ჩემი პატარა ყულაბა მომეცი, ფულს რომ ვაგროვებო. ბებიამაც საჩქაროთ ამოუღო სკივრიდან პატარა ყულაბა.

— გინდა შიგ ჩადო რამე?—დაეკითხა ბებია, როდესაც შენიშნა, რომ ჯერრის ყულაბა კარში მიჰქონდა.

ჯერრი ცოტა ხანს შეჩერდა და შემდეგ მტკიცეთ უპასუხა:

— არა, უნდა გავტეხო.

— ღმერთო დამიფარე! რათა, ჩემო შვილო?

— იმიტომ, რომ მინდა ფულები ამოვიღო.

— რათ გინდა ფულები?

— ბებიაჯან, ოღონდ ჯერ-ჯერობით მაგაზე ნურასა მკითხავ და!..

ბებერი ლენი გაოცდა. ასე პატარა ბალღი და საიდუმლოები?!

— ეს ფულები ხომ ჩემი საკუთარია?—დაეკითხა ჯერრი, როდესაც შენიშნა ბებიას სახეზე უკმაყოფილება.

— რასაკვირველია შენია, შვილო, მაგრამ მეშინია არავინ დაგტყუოს, მანდ კარგა ბლომათ უნდა იყოს ფული.

— არა ბებიაჯან, ეს ფულები მე მინდა ჩემთვის მოვიხმარო, უთხრა ჯერრიმ და წავიდა ბალჩის ერთ მოფარებულ კუთხისაკენ. იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ქვით ყულაბა გატეხა, ამოიღო შიგ რაც ფულები იყო და ერთი ვარდის ბუჩქის ქვეშ შეინახა.

იმ ღამეს ჯერრის ძილი არ მოსვლია. ლოგინში ტრიალით გაათენა, მეტის მეტათ ეჩქარებოდა თავისი სურვილის ასრულება, რომელიც თუმცა ძნელი ასასრულებელი იყო, მაგრამ შესაძლოთ-კი მიაჩნდა.

როგორც კი მზემ წვერი ამოჰყო, ჯერრი საჩქაროთ წამოხტა ლოგინიდან და შეუდგა თავისი საქმის კეთებას: გადმოალაგა მაგიდაზე ჭიქები, ლამბაქები, პური, კარაქი, გააღუა ნახშირი და ჩაიდნით წყალი დადგა ჩაისათვის. მძინარე ბებიას ესმოდა ყველა ეს, მაგრამ რა ყურადღებას მიაქცევდა, ის ყოველ დღე ამზადებდა ამაებს.

ჯერრიმ დიდი სიფრთხილით გამოიღო განჯინიდან თავისი საგარეო ტანისამოსი და ჩაიცვა. მაგიდის უჯრიდან ამოიღო პოლიციის უფროსთან რომ თხოვნა გაგზავნეს იმისი შავი, ჩაიდო ჯიბეში და ფეხ-აკრეფით გავიდა გარეთ. მივიდა ვარდის ბუჩქთან, სადაც ფული ჰქონდა შენახული, ჩაიდო ფული ჯიბეში, საყვარელ ყვავილებში ამოარჩია სამი დიდი მაისის ვარდი, გარშემო შემოურიგა თეთრი მიხაკის ყვავილები, იმის გარშემო ლამაზი მწვანე სხვა-და-სხვა მცენარეები, შეჰკრა ერთ თაიგულათ, გულის კანკალით გამოვიდა ქუჩაში და გაუდგა გზას რკინის გზის სადგურისაკენ.

სადგურზე უთხრეს რომ ამ მატარებელს მესამე კლასი არ უბიაო და ამან მეტათ შეაწუხა, კარგათ ახსოვდა, რომ მესამე კლასით სიარულს უფრო ცოტა ფული უნდოდა. დაეკითხა: რა ეღირება მეორე კლასის ბილეთი ლონდონამდისო, და სიხარულით კინაღამ შეჰყვირა როდესაც გაიგო, რომ ფული მეორე კლასითაც ეყოფოდა.

გასწია ჯერრიმ მეორე კლასით და თუთხმეტ წუთში მატარებელი უკვე ლონდონში იყო. მიაბიჯებდა ლონდონის დიდ ქუჩებზე და თან შიშით კანკალებდა, სატირლათ მზათ იყო, ისე აშინებდა უცნობ ქალაქის ქუჩების სიდიდე და აუარებელი ხალხის ხმაურობა. ახლა მიხვდა თუ რა ძნელი იყო ისე პატარა ბავშისათვის, როგორც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის იყო, ვისიმე პოვნა იმ საშინელ ალიაქოთში. ახლა ისიც აწუხებდა, რომ წამოსვლის დროს ბებიას არაფერი გააგებინა. ოხ, რა დიდი სიამოვნებით გაბრუნდებოდა უკან, მოუჯდებოდა საუზმით სავსე მაგიდას კეთილ ბებიასთან ერთათ! მაგრამ ჯერრი ძალიან მტკიცე ხასიათის ბავში იყო და ახლაც მალე გაიმაგრა გული.

— რა დროს ამაზე ფიქრია, როდესაც თერამეტი მოხუცის ბედი ჩემ ხელშია!—გაიფიქრა ჯერრიმ, ფრთხილათ გიახვია ხელსახოცში თაიგული და გაუდგა გზას.

ერთ ქუჩაზე პოლიციელი გაჩერებულიყო. ჯერრი მიუახლოვდა, მდაბლათ თავი დაუკრა და ჰკითხა:

— თუ შეიძლება, მასწავლეთ, სად ცხოვრობს პირველი მინისტრი?

— სისულელეს ნუ რომაე, ბიჭო.—წარბ-შეკვრით უპასუხა პოლიციელმა.

ჯერრიმ ამაეე კითხვით მიმართა ქუჩის მგველს.

— „ვიქტორიის“ ციხის წვერობზე—მიუგო სიცილით ქუჩის მგველმა.

ჯერრი მიხვდა რომ სასაცილოთ აიგდეს და უცებ გამობრუნდა. დიდი ხმაურობისაგან თავი უბრუოდა, დაღალულობისაგან ფეხები ეკეცებოდა, თვალებზე ცრემლები ერეოდა, მაგრამ მაინც თამამათ მიდიოდა წინ.

მეორე ქუჩის კუთხეში რამდენიმე ეტლი იდგა. ჯერრი მიუახლოვდა ერთ მეეტლეს და მინისტრის ბინა ჰკითხა. მეეტლემ ხარხარი დაიწყო.

— რა იყო, ბიჭო, საუზმეზე ხომ არა ხარ დაპატიჟებული?—ჩაჯექი ეტლში და თუ გინდა ეე მიგიყვან ბებერ ვეშაპთან.

ჯერრი გაშორდა მეეტლესაც. მას თანდათან ბრაზი ერეოდა, მოთმინება ეკარგებოდა, თვალებზე ცრემლები ადგებოდა. შემოეხვია ხალხი და ყველა ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა უცნაურ ბავშსა და ვინ იცის რას არ უზამდენ, რომ ერთი კაცი არ მიშველებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა საქმე გაქვს პირველ მინისტრთან?—ალერსით დაეკითხა უცნობი ჯერრის.

— მე იმას უნდა მოველაპარაკო ბებიაჩემის, გიორგი სტირნის და სხვა დანარჩენების შესახებ.—უპასუხა ჯერრიმ ხმის კანკალით.

— არა მგონია რომ შენ მინისტრთან ვინმემ შეგიშვას—უთხრა უცნობმა,—მაგრამ „ცდა ბედის მონახევრეაო“—შეიძლება გახდე რასმე. ჩაჯექი ეტლში, თუ ჯიბეში გროშები გაქვს და მე გასწავლი მინისტრის ბინას.

— მაქვს, როგორ არა მაქვს.—სწრაფათ მიუგო ჯერრიმ და ჩაიყო ჯიბეში ხელი, მაგრამ ერთი გროშიც აღარ დაუხვდა შიგ, სულ მოეპარათ. რა უბედურობაში ჩავარდებოდა, რომ ამ კეთილ კაცს არ ეშველა; მან ჩასვა ჯერრი ეტლში, მისცა მეეტლეს ღირებული ფული და ასწავლა მინისტრის ბინა.

— ღმერთი იყოს შენი შემწე, პატარავ. წადი, მხოლოთ დიდ ტრაბახს ნუ მოუყვები, თუ ბებერი ვეშაპის ნახვას ეღირსო—უთხრა უცნობმა ჯერრის და გაუდგა გზას.

დიდი მადლობა გადუხადა ჯერრიმ უცნობს და უფრო გულის კანკალით გასწია ეტლით ლონდონის უზარმაზარ ქუჩაზე. ხელში მაგრათ ჩაბღუჯული ეჭირა თაიგული. მას სრულიად აღარ აშინებდა ლონდონის ქუჩების ხმაურობა, არც ულფულობაზე ფიქრობდა, აწუხებდა მხოლოთ ის, რომ მინისტრს ყველა ბებერ ვეშაპს ეძახდა. „ვეშაპი ხომ იმ საშინელ ზღვის ცხოველს ჰქვია, რომელიც გემებს ამტვრევს, ცოცხალ კაცებს ჰყლაპავს!—ფიქრობდა ჯერრი და შიშის ზარი ეცემოდა, მაგრამ აგონდებოდა თავისი ბაღჩა, ბებრები, და გულადობა ემატებოდა. და როდესაც მეეტლემ გააჩერა ეტლი და გამოაცხადა: აგერ მინისტრის სადგომიო, ჯერრი თამამათ გადახტა და ჩამოჰკრა შესავალ კარის ზარას.

მეკარემ გააღო კარი და გოცებით დააცქერდა პატარა ბავშს.

— შეიძლება ვნახო ბატონი პირველი მინისტრი?—მორცხვათ წაილაპარაკა ჯერრიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეკარემ პასუხი არც-კი აღირსა, საბრალო ბავშს, ზედ ცხვირ. წინ მიუბრახუნა კარი.

ჯერრი შეკრთა, ჯერ კინაღამ იტირა, მაგრამ მალე თავი შეიმაგრა და იფიქრა: ერთხელ ხომ როდისმე გააღებენ კარსაო, და გადასწყვიტა ქუჩაში ეცადნა.

მას შემდეგ ბევრმა დარეკა ზარი, მაგრამ ყველას რამე პასუხს ეუბნებოდენ, ჯერრის-კი მეკარემ ხმაც არ გასცა.

ჯერრიმ კიდეე დარეკა ზარი და მეკარემ გაჯავრებით უთხრა: — „ბიჭო, დამეკარგე თორემ პოლიციას დაეუძახებ და დაგაჭერინებო“. ჯერრი სწრაფათ გამობრუნდა, ერთი-კი მაინც მიაძახა:—მინისტრის ნახეა მინდაო—და ისევ ქუჩაში გაჩერდა, მაგრამ დიდ შუშებიან კარებს მაინც თვალს არ აშორებდა. კარგათ ხედავდა უშველებელ დიდ კიბეს, რომლის აქეთ-იქით ჩამწკრივებული იდგენ მსახურები. ჯერრიმ უცებ შენიშნა, რომ ამ დიდ კიბეზე ერთი ხანში შესული, სახე მოლუშული კ-ცი ჩამოდიოდა. ის პირდაპირ წამოვიდა დიდ შუშებიან კარისაკენ და მეკარემ მის მოსელამდის დიდი მოწიწებით კარი გაუღო და თავი დაუკრა. უკან მსახურები მოსდევდენ. ვერავინ თვალი ვერ მოასწრო ჯერრის მოძრაობას, ისე უცებ გამოეჭიმათ ის წინ.

— თუ შეიძლება მიბძანეთ, ბატონო, თქვენ ხომ არა ხართ პირველი მინისტრი?— დაეკითხა წინ მომავალ დიდკაცს ჯერრი.

დიდებულმა მინისტრმა შეხედა ბავშს და უცებ გაახსენდა მეორე პატარა, ასეთივე ხუჭუჭ-თმიანი, ასეთივე სუსტი, ლამაზი ბავში, თავისი რვა წლის ბიჭიკო, რომელიც რამდენიმე წლის წინეთ მოუკვდა, და ხმის კანკალით ჰკითხა:

— რა გინდა, ჩემო კარგო?

ჯერრიმ ძალა მოიკრიფა და მღელვარებით უპასუხა:

— მე თქვენთან მოლაპარაკება მინდა, ბატონო მინისტრო.

მინისტრმა ლმობიერათ გაიღიმა. მოსამსახურეები ელოდენ ბძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებას, რომ მეტიჩარა ბაეში პოლიციაში წაეყვანათ. ჯერრის-კი თანდათან გამბედაობა ემატებოდა.

— გიორგი სტირნმა თქვა: მხოლოთ პირველ მინისტრს შეუძლია ჩვენი შველაო—ტიკტიკებდა ჯერრი—გიორგი სტირნმა-კი ყველაფერი კარგათ იცის. ამიტომაც გიახელით თქვენთან, ბატონო მინისტრო!

სახელმწიფოს წარჩინებული პირი გულდადებით ისმენდა ბაეშის ტიკტიკს. ბოლოს შებრუნდა შიგნითვე და ჯერრის ანიშნა უკან წამომყეეიო. ჯერრიც უკან დაედევნა. მინისტრი აღელვებული იყო.

— აბა ახლა მიამბე, რა საქმე გაქვს?—ჰკითხა მინისტრმა და ჩაჯდა სავარძელში თავის საწერ მაგიდის წინ. ის დარწმუნებული იყო, რომ ბაეში მოწყალების სათხოვნელათ მოვიდა.

— გიორგი სტირნი ამბობს... რომ...—დაიწყო კანკალით ჯერრიმ.

— თავი დაანებე გიორგი სტირნს და შენ თავზე მიამბე რამე—გააწყვეტინა მინისტრმა.

ჯერრიმ მოიკრიბა უკანასკნელი ღონე და სხაპა-სხუპით დაიწყო:

— იმათ უნდათ ჩვენი ქოხები დაანგრიონ, ჩემი ბაღჩა მოშალონ... იქ უნდათ რკინის გზა გაიყვანონ და ჩვენ ყველა გაგვრეკონ. ბებიაჩემი ნამდვილათ მოკვდება, თუ იქიდან ვააგდეს, მეც მოვკვდები, ან მერცხლებს რა ეშველებათ ჩვენსა რომ ბუდე აქვთ. ჩვენ ძაღლს-კი წაიყვანთ, მაგრამ ის ისე შეჩვეულია იქაურობას, რომ ისიც მოკვდება. რაღა ეხლა მოუნდათ ჩემი ბაღჩის დაშლა, როდესაც ისე მშვენიერათ აჰყვავდა იქაურობა, განსაკუთრებით ჩემი მაისის ვარდი... ეხლა სულ ყველაფერს დასთხრიან და იქ ააშენებენ რკი... რკი...

აქ ჯერრის საშინელი ქვითინი წასქდა და ველარა თქვა რა.

— ცოტაოდნავ თითქო რაღასაც მიეხვდი —შენიშნა მინისტრმა —ჩემო კარგო, დამშვიდდი და ამიხსენ, სად არიან ის ქოხები? ან რა ქოხებია?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერრიმ ისევ ხელ-ახლავ დაიწყო თავისი ამბავი.

მინისტრმა ჯერ წარბი შეიკრა. ეგონა ბავში დიდების მოგზავნილიაო, მაგრამ როდესაც შეიტყო რომ ბავში თავის თავათ იყო წამოსული, ყულაბში მოგროვილი ფულით—ალერსით უთხრა:

— შენ ჩემთან რათ მოხვედი, პატარავ! ეგ კერძოთ ქალაქის საქმეა და არა სახელმწიფო. მე ვერაფერს გიშველი.

— როგორ არა, როგორ არა! თქვენ შეგიძლიათ ჩვენი შველა. უნდა გვიშველოთ კიდეც—შეჰყვირა ჯერრიმ—იმათ არაფრის ღონე არა აქვთ. გიორგი სტირნმა და სოფლის მწერალმაც ასე თქვეს: ფულები რომ გვქონდეს ვიდავებდით და მოვიგებდითო. თქვენ კი ყველაფერი შეგიძლიათ, რასაც მოინდომებთ. აი ჩვენი არზის შავიც. მე თქვენ ვარდებიც მოგიტანეთ, მიხაკიც, ეს ჩემი ბალჩიდან არის, მხოლოთ გზაში დამიჭკნა, თუ წყალში ჩადებთ კი ისევ გაიხარებენ.

— დიდი მადლობელი ვარ, ჩემო კარგო,—ალერსით უთხრა მინისტრმა—მე ვეტყვი რომ წყალში ჩადონ შენი მოტანილი ყვავილები.—მინისტრმა გამოართვა და წაიკითხა ქაღალდის შავი.

— აქ ფულის საქმე ყოფილა, ეს ცხადათ ჩანს.—წაილაპარაკა მინისტრმა და დაუწყო ჯერრის დაწვრილებით გამოკითხვა, თუ ვინ იყო მისი ბებია, ან სხვა იქ მცხოვრებნი; ყველა ესენი ჩაიწერა უბის წიგნში და ისევ ალერსით უთხრა ბავშს:

— წადი ეხლა სახლში, პატარავ. მალე შეგატყობინებ პასუხს.

— ხომ არ მისცემთ ქოხების გაყიდვის ნებას?—შიშით დაეკითხა ჯერრი.

— ეხლა ვერაფერს გეტყვი. ჯერ უნდა გამოვიკითხო საქმის გარემოება. ამითი-კი იყიდე რამე ჩემ სახსოვრათ და სახლში წაიღე —უთხრა მინისტრმა და ხელში ათ მანეთიანი ოქრო ჩაუდო.

ჯერრიმ ხელები უკან წაიღო. სახე გაუწითლდა.

— მე ფულს არ ვიღებ!—მორცხვათ წაილაპარაკა იმან.

— მაშ იმ ყუთში როგორ მოაგროვე ფულები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეზობლები მაძლევდენ, როდესაც ბალის მუშაობაზე ვეხმარებოდი — მიუგო ჯერრიმ.

— შენ ძალიან კარგი ბიჭი ყოფილხარ, სწორეთ რომ სამაგალითო, ჩემო კარგო, — უთხრა მინისტრმა და ალერსით ხუჭუჭ-თმაზე ხელი გადუსვა.

ჯერრიმ მორცხვათ ხელზე აკოცა.

— თქვენ აგრეთი კეთილი ყოფილხართ, ბატონო მინისტრო! — წაილაპარაკა ჯერრიმ — და ხალხი რათ გეძახისთ „ბებერ ვეშაპს?“

— ყოველთვის არა ვარ კეთილი, ჩემო მეგობარო, ძალიან ხშირათ ვჯავრობ ხოლმე. — უპასუხა ღიმილით მინისტრმა — ახლა-კი ჩემი წასვლის დროა. ნახვამდის, ბედნიერი ცხოვრება მოგცეს ღმერთმა, ჩემო გულადო მოგზაურო!

მინისტრმა დაუძახა მსახურებს და უბძანა ჯერრის მოტანილი თაიგული წყალში ჩაედოთ, ჯერრისთვის კარგი საუზმე მიერთმიათ, გაეცილებინათ სადგურამდე, ეყიდნათ სამგზავრო ბილეთი და გა ესტუმრებინათ სახლში.

— ეს უეჭველათ გააკეთებს ჩვენ საქმეს — გაიფიქრა ჯერრიმ, როდესაც დაინახა მიმავალი მინისტრი, რომელიც კარებთან ერთხელ კიდევ მობრუნდა და ჯერრის ალერსით თავი დაუკრა. — თაიგულის წყალში ჩადებაც რომ არ დააევიწყდა!

ამ იმედით ჯერრი გემრიელათ შეექცა საუზმეს. მას სრულიადაც აღარ აშინებდა მოსამსახურეთა გროვა, რომლებიც გაჭიმული შესცქეროდენ ჯერრის საუზმის დროს. შემდეგ ერთმა მსახურთაგანმა მიაცილა სადგურამდე, უყიდა ბილეთი, ჩასვა მატარებლის ოთახში და დიდი ზრდილობით გამოეთხოვა.

როდესაც ჯერრი თავის საყვარელ ქოხებს მიუახლოვდა, დაინახა რომ იქ მრავალ ხალხს მოეყარა თავი და ჩანგლებითა და ბადეებით ემზადებოდენ დამხჩვალი ჯერრის გვამის საძებნელათ წასვლას. წარმოიდგინეთ იმათი სიხარული როდესაც დაინახეს ცოცხალი ჯერრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კინალამ დაგვხოცე ჯავრით ბებიაშენი და ჩვენ ყველა,—შეჰყვირა გიორგი სტირნმა და გადაეხვია ჯერრის—რატომ არ გვითხარი სადაც მიდიოდი?

— რომ მეთქვა ხომ არ გამიშვებდით?—უპასუხა ჯერრიმ და ვითომც აქ არაფერი ამბავიაო, შეუდგა ბალჩის რწყვას.

— დავიჯერო მართლა პირდაპირ მინისტრი ნახე? – რამდენჯერმე ეკითხებოდა სტირნი, როდესაც ჯერრიმ დაწვრილებით უამბო თავისი მოგზაურობის ამბავი. ქოხების მცხოვრებთა თვალში ჯერრი ნამდვილ გმირად გადიქცა.

თითონ ჯერრი-კი ვერ იყო გულ-დამშვიდებული. მართალია მინისტრს მისთვის ნამდვილი პირობა არაფრისა არ მიეცა, მაგრამ პირველში დარწმუნებული იყო, რომ რამეს გააკეთებდა. ახლა რაკი ხანი გადიოდა და არაფერი ამბავი ისმოდა, ჯერრის იმედი ეკარგებოდა.

— შე სულელო!—უთხრა ერთხელ ალერსით ბებიამ—როგორ წარმოიდგინე რომ იმისთანა დიდი-პირი შენს თხოვნას დაიხსომებდა?

საბრალო ჯერრის გული მოუკლეს ამ სიტყვებმა—რა ვქნა, რაც შემეძლო ვეცადე, თუ ვერა გაკეთდა-რა, ხო არაფერი წამხდარაო!—ნუგეშობდა ჯერრი.

— ნუ სწუხარ, ჩემო შვილო,—ალერსით უთხრა ბებიამ, როდესაც შენიშნა, რომ ჯერრი შეაწუხა მისმა სიტყვებმა—აქვე მეზობლათ კარგ ოთახს დავიქირავებ და იქ ვიცხოვროთ. თუმცა ბებერი ლენი ამას ამბობდა, გულში-კი ძალიან აწუხებდა შეჩვეული ბინის დატოვება.

გაზეთებში ხშირათ იბეჭდებოდა ამ ქოხების შესახებ სხვა-და-სხვა წერილები; ყველა იმ აზრისა იყო, რომ ქოხები უნდა დანგრეულიყო.

მოხუც მცხოვრებთ ყოველი იმედი დაეკარგათ, მოგროვდებოდენ ერთათ საღამოობით და იყო ერთი წუწუნი. პატარა ჯერრი ყველაზე მეტათ სწუხდა; ის ჯავრით გახდა, გაყვითლდა; მთელ დღეობით იჯდა ჭიშკართან და დაფიქრებით გაიყურებოდა გზისკენ. თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის საყვარელ ბალჩაშიაც-კი აღარ შედიოდა, ან რაღათ უნდოდა თუ-კი წაართმევდენ.

მაშინ უარესი ჯავრი შემოაწვა ჯერრის, როდესაც ქოხებში მცხოვრებთ ეჭვი შეეპარათ ჯერრისაგან მინისტრის ნახვის შესახებ. ბოლოს იქამდის მიდგა საქმე, რომ ბებია ლენსაც-კი აღარა სჯეროდა, თუ ჯერრიმ მართლა ნახა მინისტრი.

— რა საფიქრებელია, რომ იმისთანა დიდებულმა კაცმა ინახულოს ვილაც პატარა ბიჭი—ფიქრობდა ბებია—ალბათ ჩემმა ჯერრიმ სიზმარში ნახა და მართალი ეგონაო.

მოახლოვდა დღე, როდესაც ქალაქის მმართველებს უნდა გადაეწყვიტათ პოლიციის უფროსის წინადადების სისრულეში მოყვანა. ქოხების მცხოვრებნი ახლა-კი დარწმუნდნენ, რომ ჯერრის მოგზაურობა და მინისტრის ნახვა სიცრუე იყო და თუმცა ჯერრის არას ეუბნებოდენ, მაგრამ გონიერი ბავში მიმხვედარი იყო და იტანჯებოდა.

— შენ მეტის მეტათ ნუ სწუხარ, შვილო,—უთხრა ერთხელ ბებიამ ჯერრის—ჩვენც ყველა ვწუხვართ, მაგრამ ვერას ეუმატებთ. ალბათ ღვთის ნება ასე იყო.

— ჩემო საყვარელო ბებია, ეხლა მეც დავრწმუნდი, რომ იმას აღარ ახსოვს ჩემი თხოვნა—უთხრა ტირილით ჯერრიმ და გულში ჩაეკრა კეთილ მოხუცს—წინეთ-კი ასე არა ვფიქრობდი, ის ისე ალერსით მომექცა. თუმცა-კი არ დამპირებია არაფერს, მაგრამ მე დიდი იმედი მქონდა, რომ დაგეხმარებოდა. მას შემდეგ აგერ ოთხი თვე გავიდა და კი არაფერი პასუხიაო.—სლოკინებდა ჯერრი.

— ჩემო ბიჭიკო, ჩემო კარგო შვილო,—ეუბნებოდა ალერსით ლენი—მართალი მითხარ: დარწმუნებული ხარ რომ ნამდვილათ შენ თითონ ნახე მინისტრი? იქნება მოგეჩვენა? ან სიზმარში ნახე?

ჯერრიმ თავისი ჭკვიანური თვალები ბებიას შეანათა და ამაყათ უთხრა:

— რასაკვირველია მე თითონ ვნახე! ის მე თუმნიან ოქროსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაძლევედა სახსოვრათ, მაგრამ არ გამოვართვი. ეხლა-კი ვნანობ რომ არ წამოვიღე, მაშინ ხომ ეჭვი არავის ექნებოდა. შენ როგორ წარმოიდგინე, რომ მე სიცრუეს ვამბობდი?—ყვირილით მიმართა ბოლოს გაბრაზებულმა ჯერრიმ.

— არა, არა, ჩემო კარგო! მე თავის დღეში ეგ არ მიფიქრია. —საჩქაროთ მიატანა ბებიამ—მაგრამ ასე მეგონა: იქნება მგზავროობისაგან დალალულს სადმე მიეძინა და სიზმარში მოეჩვენა და რომ გაელვიძა მართალი ეგონა-მეთქი.

— ღმერთმანი მართალი იყო, მართალი, ბებია—ტირილით იმეორებდა ჯერრი—მართალია პირობა არ მოუცია, არც მე მითქვამს დამპირდა-მეთქი, მაგრამ თაიგულის წყალში ჩადება არ დააევწყდა და რას ვიფიქრებდი, რომ ჩემ თხოვნას დაივიწყებდა!

ბებერი ლენი გულ-მოკლული ისმენდა ჯერრის ლაპარაკს. ის დარწმუნებული იყო, ბავშს ჯავრისაგან ძარღვები მოეშალა და ბოდავსო.

ორ დღეს შემდეგ ბებია ლენმა შენიშნა, რომ ჭიშკართან ვილაც კაცი მოვიდა, სტირნს რაღაც ჰკითხა, გადასცა დიდი პაკეტი და წავიდა. სტირნი, თითქო დალურსმულიაო, ადგილიდან არ დაიძრა, დაფანტულივით აქეთ-იქით გაიყურებოდა, ხელში ატრიალებდა უშველებელ კონვერტს. მერე უცებ გამოტრიალდა და ეზოსკენ გამოსწია, მიუახლოვდა ლენის სადგომს და შეჩერდა, ხმას არ იღებდა, ძლივს სუნთქავდა. ქოხების მცხოვრებნი გარს შემოეხვიენ და ეკითხებოდენ, რა დაგემართაო.

— ჯერრი, ჯერრი!—დაიწყო ბოლოს სტირნმა ყვირილი—ჯერრი! ჯერრი! აქმო, პირველ მინისტრს შენთვის რაღაც გამოუგზავნია! ამის მომტანმა გამომიცხადა: დამშვიდდით, თქვენ აქედან ვერაკინ გაგაგდებთო, რადგან „ქალბატონ ელეონორას“ ანდერძის გატეხის ნება არავისა აქვსო. ასე უთქვამს ყველა კანონების მცოდნეს ლონდონში, მინისტრს თითონ მოულაპარაკნია მათთან.

ჯერრი მიიჭრა მასთან. საშინელი აღელვებული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაძლევდა სახსოვრათ, მაგრამ არ გამოვართვი. ეხლა-კი ენანობ რომ არ წამოვიღე, მაშინ ხომ ეჭვი არავის ექნებოდა. შენ როგორ წარმოიდგინე, რომ მე სიცრუეს ვამბობდი?—ყვირილით მიმართა ბოლოს გაბრაზებულმა ჯერრიმ.

— არა, არა, ჩემო კარგო! მე თავის დღეში ეგ არ მიფიქრია. —საჩქაროთ მიატანა ბებიამ—მაგრამ ასე მეგონა: იქნება მგზავროობისაგან დაღალულს სადმე მიეძინა და სიზმარში მოეჩვენა და რომ გაელვიძა მართალი ეგონა-მეთქი.

— ღმერთმანი მართალი იყო, მართალი, ბებია—ტირილით იმეორებდა ჯერრი—მართალია პირობა არ მოუცია, არც მე მითქვამს დამპირდა-მეთქი, მაგრამ თაიგულის წყალში ჩადება არ დააგვიწყდა და რას ვიფიქრებდი, რომ ჩემ თხოვნას დაივიწყებდა!

ბებერი ლენი გულ-მოკლული ისმენდა ჯერრის ლაპარაკს. ის დარწმუნებული იყო, ბავშს ჯავრისაგან ძარღვები მოეშალა და ბოდავსო.

ორ დღეს შემდეგ ბებია ლენმა შენიშნა, რომ ჭიშკართან ვიღაც კაცი მოვიდა, სტირნს რაღაც ჰკითხა, გადასცა დიდი პაკეტი და წავიდა. სტირნი, თითქო დალურსმულიაო, ადგილიდან არ დაიძრა, დაფანტულივით აქეთ-იქით გაიყურებოდა, ხელში ატრიალებდა უშველებელ კონვერტს. მერე უცებ გამოტრიალდა და ეზოსკენ გამოსწია, მიუახლოვდა ლენის სადგომს და შეჩერდა, ხმას არ იღებდა, ძლივს სუნთქავდა. ქოხების მცხოვრებნი გარს შემოეხვიენ და ეკითხებოდენ, რა დაგემართაო.

— ჯერრი, ჯერრი!—დაიწყო ბოლოს სტირნმა ყვირილი—ჯერრი! ჯერრი! აქმო, პირველ მინისტრს შენთვის რაღაც გამოუგზავნია! ამის მომტანმა გამომიცხადა: დამშვიდდით, თქვენ აქედან ვერაფინ გაგაგდებთო, რადგან „ქალბატონ ელეონორას“ ანდერძის გატეხის ნება არავისა აქვსო. ასე უთქვამს ყველა კანონების მცოდნეს ლონდონში, მინისტრს თითონ მოულაპარაკნია მათთან.

ჯერრი მიიჭრა მასთან. საშინელი აღელვებული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა ხომ გჯერათ... ხომ გჯერათ ყველასო...—ერთი შეჰყვირა და გულ-შეწუხებული დაეცა ძირს.

როდესაც გონზე მოვიდა ჯერრი თავის ქვეშაგებში იწვა. ბრწყინვალე მზის სხივზე მაგიდაზე მდგარ თავ-ახდილ ყუთს გაჰქონდა კაშკაში. ღმერთო ძლიერო! რა არ იყო ამ ყუთში: სულ ყველაფერი იარაღი, რაც-კი საჭიროა ყვავილების ბალჩაში სამუშაოთ პატარა ბავშისათვის. ყუთის თავზე ყვითლათ მოოქრული ასოებით ეწერა:

ᲒᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲑᲐᲕᲨᲡ.

— მე ხომ ვამბობდი რომ არ დამიეიწყებს-მეთქი! —შეჰყვირა ჯერრიმ და საჩქაროთ წამოხტა.

— შენ შესანიშნავი კაცი გამოხვალ, ჯერრი! —ეუბნებოდენ ყველა ბებრები და ეხვეოდენ გარს.

— მე მებაღე ვიქნები. მაგრამ თქვენ რათ ფიქრობდით, რომ ეტყუოდი?—უპასუხა ჯერრიმ და დიდი სიხარულით შეუდგა თავმინებებულ საყვარელ ყვავილების მოვლას. მას თან დაჰყვებოდა თავისი საყვარელი ძაღლი, რომელსაც ჯერრი ალერსით ეუბნებოდა:

— შენ ნახავ, ჩემო ცუგო, რა მშვენიერ ყვავილებს გავაშენებ „ამისათვის!“ შენ არ იცი რომ ჩვენი ამ ქოხებში დატოვება ამისი საქმეა?

ს. ტიტიშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიკური გეოგრაფია. *)

პროფესორი გეიკისა.

დედამიწის სახე ანუ ფორმა.

Ახლა სანამ თქვენ დედამიწის გადათვალიერებას და შესწავლას შეუდგებოდეთ, საჭიროა იქონიოთ სრული წარმოდგენა თვით დედამიწის სახეზე (მოყვანილობაზე). ამასთანავე უნდა გაიგოთ უმთავრესი მიზეზები იმ კავშირისა, რომელიც მზესა და დედამიწის შორის არსებობს. როცა ვაკე და ტრიალ ალაგზე დგეხართ, ან და თვალგადუწვდენელ ზღვას უყურებთ, თქვენ ისე გეჩვენებათ თითქოს ეს ქვეყანა, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ დიდი და ფართო მინდორიაო; ბევრი რო ვიაროთ, ფიქრობთ თქვენ, კიდეს კიდევაც მივახწევთო. ძველ დროში ხალხი სწორეთ ამგვარივე შეხედულებისა იყო. მზე და მთვარე ჩვენი საჭიროებისათვის ამოდის და ჩადისო, ფიქრობდენ იგინი; ცა თავის ვარსკვლავებით ერთიან ბოლის გუმბათად ითვლებოდა; ეგ გუმბათი დედამიწაზედ არის გადმოხურული და დაბჯენილიო, ამბობდენ წინათ. მაგრამ თქვენ ადვილათ შეგიძლიათ

*) ამის წინასიტყვაობა ისიდე ჟურნალ „ჭეჭილის“ I №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარწმუნდეთ, რომ თვალი სცდება, როცა დედამიწა მას პრტყლათ ეჩ-ვენება; თვალისათვის რაც სწორია—ნამდვილათ სიბრუნდეს წარმოად-გენს. რაც უნდა დიდ ვაკეზე იდგეთ, ექვსი ან შვიდი ვერსის იქით მაინც ველარას დაინახავთ; აბა, ახლა ეკლესიის სამრეკლოზე შედე-ქით! იქიდან იმას დაინახავთ, რის დანახვაც ქვემოდან შეუძლებელი იყო. კიდევ უფრო მაღლა, მთის მწვერვალოზე რომ ახვიდეთ, იქი-დან კიდევ უფრო მეტს და თან უფრო შორეულ საგნებს გაარჩევთ; ერთი სიტყვით, რამდენათ მიწიდან უფრო მაღლა ახვალთ, იმდენათ თვალი უფრო შორს უწვდენს. ახლა ვთქვათ თქვენ ზღვის პირად ამართულ კლდის ძირში დგეხართ და აქედან ზღვას გაჰყურებთ. აი, თქვენ ოდნავ გაარჩიეთ შორს მოცურავი გემების ანძა აფრიალებულ იალქანით, ახლა კლდის მწვერვალოზე რომ ახვიდეთ, მარტო ან-ძას-კი არა, მთელს გემს დაინახავთ. თვალი აქედან უფრო შორს



სჭრის; უფრო შორს მომცურავს გემებსაც-კი გაარჩევთ, თუმცა ისი-ნი ზღვის სივრცეში კენჭის ოდენად ძლივს მოჩანან. ყოველივე ამას დამეთანხმებით კლდის ძირიდან ვერ დაინახავდით. ახლა ცოტა შე-იცადეთ ამ წვერვალოზე და ზღვაზე მიმოცურავს გემებს დააკვირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით. რას ამჩნევთ? მას რომ, ზოგ გემს ახლა უფრო გარკვევით არ-ჩევთ; ჯერ მხოლოთ რამდენიმე ანძას დაინახავთ, მერე ყველას და ბოლოს თვით გემებსაც-კი. თქვენ ისე გგონიათ ეგ გემები მსოფ-ლიოს კიდიდან ამოცურდენო. მეორის მხრით ზოგი თქვენს მახ-ლობლათ მიმცურავი გემები თან და-თან მხედველობიდან გეკარგე-ბათ. გემები მიცურავენ და თქვენ-კი გეჩვენებათ ვითომ იგინი ზღვა-ში იძირებიანო. ბოლოს გემები სრულიადაც თვალიდან გემალებათ. ეს და კიდევ ბევრი სხვა დაკვირვება ამტკიცებს, რომ სამყარო, რო-მელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ პრტყელი და ვაკე არ არის. რო პრტყე-ლი სივრცე ყოფილიყო გემების ანძები ხომ აღარ ჩაიძირებოდენ, მხედველობიდან არ დაიკარგებოდენ. გემების თანდათანი გამოჩენა, როცა ჩვენკენ მოცურავდენ, და მათი თან-და-თან მხედველობიდან დაკარგვა, როცა ჩვენგან მიცურავენ გვიმტკიცებს, რომ დედამიწას მრუდე გახრილი ზედაპირი აქვს; დედამიწა ბურთივით მრგვალია. ამ-ნაირად ხედავთ, რომ ძველი და ვითომ ბუნებრივი წარმოდგენა დე-დამიწის მოყვანილობაზედ, სრულიად შემცდარია; თუმცა ზღვა და ხმელეთი ჩვენ ვაკეთ გვეჩვენება, მაგრამ ნამდვილათ იგინი მხოლოთ დედამიწის ამოზნექილ ზურგს წარმოადგენენ. თქვენ თითონ ალბათ ბევრჯერ მიგიქცევიათ ყურადღება შემდეგ გარემოებისთვის: როცა რომელიმე ქალაქს ან სოფელს უახლოვდებით ჯერ მხოლოთ შე-ნობების მაღალ ნაწილებს: სამრეკლოებს, ეკლესიების ჯვრებს, სა-ხურავებს დავინახავთ, მხოლოთ შემდეგ-კი თვით შენობებს. დედა-მიწა რომ სწორი და პრტყელი ყოფილიყო ყველა საგნებს შორი-დან ერთბაშათ დავინახავდით; ეს-კი ასე არ ხდება; მაშასადამე ორ დაშორებულ საგნებს შორის დედამიწა ამობურთლია; აი ეს გარე-მოება არის მიზეზი რომ საგნებს შორიდან ერთბაშათ ვერ ვარჩევთ. აი ახლა ზღვით მოგზაურობა რომ მოიწადინოთ და თქვენს გემს რომ სულ ერთი მიმართულება მისცეთ და ერთი მხრისაკენ მიცუ-რავდეთ, რამოდენიმე ხნის მოგზაურობის შემდეგ წარმოიდგინეთ რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ ისევ იმ ალაგს მოადგებით, საიდანაც პირველათ გახვედით. ამნაირათ თქვენ ქვეყნიერების გარშემო წყლით შემოიველით და დარწმუნდებით კიდეც, რომ ქვეყნიერება ბურთივით მრგვალია. ასე იქცეოდენ კიდეც; ბევრს მეზღვაურს უმოგზავრნია დედამიწის გარშემო; დედამიწის კიდე ვერც ერთს ვერ უხილავს და იმავე ალაგას მოსულან, საიდანაც გამგზავრებულან. მხოლოთ მეორეს მხრით-კი დიახაც გვჯერა რომ დედამიწა მრგვალია, მაგრამ პრტყლათ რაღად გვეჩვენებაო, იტყვით თქვენ. იმიტომ რომ ჩვენს გარშემო მეტათ პატარა მანძილს ეხედავთ და ამიტომაც დედამიწას სიმრგვალეს ვერ ვამჩნევთ. ამდენი და ამოდენა მთებია დედამიწაზედ და რატომ არას უშლიან მის სიმრგვალესაო? იკითხავთ თქვენ. საქმეც ისაა, რომ თვით უუმაღლესი მთები დედამიწის სიდიდესთან შედარებით ნამცეცად-ღა ჩანან. აბა, ფორთოხალს დაუკვირდით! კანზე აურებელი მეჭეჭის მსგავსი კორძები აყრია, მაგრამ რომ განგებ გკითხონ ფორთოხალი როგორი მოყვანილობის არისო მე მგონია თქვენ აბურცებულ კორძებს მხედველობაში არ მიიღებთ და უპასუხებთ მრგვალიაო. დედამიწა ამ შემთხვევაში სწორეთ ფორთოხალს მოგვაგონებს. დიდრონი და უზარმაზარი მთები დედამიწის სიმრგვალესაც არას უშლის მაგრამ დედამიწა მთლათ ბურთივით მრგვალი-კი არ არის, უფრო ფორთოხალს წააგავს. ფორთოხალივით ორი მხარე შეჭყლეტილი აქვს. ამ შეჭყლეტილ მხარეებს პოლიუსებს უწოდებენ. სწავლულებმა კიდევაც გაზომეს დედამიწა. მათი ანგარიშით პოლიუსიდან პოლიუსამდე 11,916 ვერსია, ხოლო სიგანე ორ დანარჩენ მხარეთა შორის 11,957 ვერსი. დედამიწის გარს შემოვლა რომ მოვინდომოთ 37,450 ვერსის გავლა დაგვჭირდებოდა. ამ მანძილის გავლას, დღეში რომ 25 ვერსი ვიაროთ ოთხს წელიწადს მოუნდებოდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღე და ღამე.

დღე მუდამ, რაც ხსოვნა გაქვთ, ხედავთ რო მზე ცაზედ დადის (დაიარება); ღამ-ღამე კიდევ, როცა ცა მოწმენდილია, ამჩნევთ რომ ცაზედ მთვარე, ვარსკვლავები მიმოცურავენ. დარწმუნებული ხართ კიდეც, რომ მზე ხვალ დილით კვლავ, როგორც წინათ, ამოვა და იწყებს თავის მოძრაობას. ამნაირათ ხედავთ, რომ დედამიწის გარშემო ვითომ ნელი და მუდმივი მოძრაობაა. მოგისურვებიათ ამ მოძრაობის მიზეზი გაგებოთ? როცა მზე ანათებს, თბილა; შეიმოსება ცა ღრუბლებით და გრილა, ხოლო ღამით მზის შუქი რომ აღარ ანათებს, ვგრძნობთ სიცივეს. დღისით ცა სინათლით არის გაბრწყინვებული. საღამოზე მზე დასავლეთით ესვენება და ბინდიც მაშინ იწყება. აქედან ცხადათ სჩანს რომ სინათლე და სიბნელე მზისაგან წარმოსდგება. მაშ ცხადია რომ დედამიწის ვითარებას ისე ვერას გავიგებთ ვიდრე მზის და დედამიწის შორის დამოკიდებულებას არ გავითვალისწინებთ. შესაძლებელია თქვენი წარმოდგენა ისეთივე იყოს, როგორც ძველათ ფიქრობდენ. იმ დროში ხალხს დედამიწა სამყაროს უძრავ, შუაგულ სხეულათ მიაჩნდა. დედამიწის გარშემო მოძრაობენ მზე, მთვარე და ვარსკვლავებიო, ოცნებობდენ წინათ. და აი, წარმოიდგინეთ, მასუკან რამდენმა ხანმა განვლო და ახლაც ამ მნათობების შესახებ ვამბობთ ხოლმე „ამოდიან და ჩადიანო“, თითქო დღესაც იმ აზრისა ვიყოთ, რომ იგინი დედამიწას გარს უვლიან. ნამდვილათ-კი ჩვენი დედამიწა სამყაროს უძრავი და შუაგული სხეული-კი არ არის, არამედ ერთი იმ სხეულთაგანია, რომელიც განუსაზღვრელ სივრცეში მზის გარშემო დასეირნობს. მზე-კი უზარმაზარი შუაგული ცეცხლის ბურთია; იგი ათბობს და ანათებს დედამიწას. რომ ეს ჭეშმარიტებაა, თქვენ მაშინ დარწმუნდებით, როცა დღე და ღამის წარმოშობის მიზეზს გაითვალისწინებთ. ჩვენ გვგონია ვითომ დღე და ღამის რიგი, ესე იგი დღის ღამეთ შეცვლა და ღამის დღეთ მზის მოძრაობის წყალობით ხდება. ნამდვილათ-კი ეს დედა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიწის ბრუნვის შედეგია. დედამიწის ტრიალს თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ. აი ამის მაგალითიც. დაატრიალეთ ბზრიალა ძალზედ. პირველ დანახვაზე გეჩვენებათ, ვითომ ბზრიალა თავის ღერძით ერთ ალაგას მაგრად დასობილია, მაგრამ ეს გეჩვენებათ მხოლოთ, ნამდვილათ-კი იგი გასაოცარის სისწრაფით ბრუნავს, ყოველი მისი ნაწილი გარშემო უვლის იმ შუაგულ ხაზს, რომელსაც ბრუნვის ღერძი ეწოდება. აი სწორეთ დედამიწაც ასე ჩქარა ტრიალებს თავის ღერძის გარშემო. აი კიდევ მეორე მაგალითი. ღლობუსის პირდაპირ, რამოდენიმე ბიჯის მანძილზედ დადგით ანთებული სანთელი. აბა, ახლა დაატრიალეთ ღლობუსი ღერძის გარშემო! რას ამჩნევთ? იმას რომ ღლობუსი ორივე შემთხვევაში, დგას იგი, თუ ტრიალებს, მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი ნახევარი ნაწილი სანთლისკენ შექცეული განათებულია, ხოლო მეორე მხარე საცა სანთელი არ ხვდება დაჩდილულია. როცა ღლობუსი არ ბრუნავს, ქვეყნების ერთი ნაწილი სინათლით მოფენილია, მეორე ნაწილი-კი ბნელით მოცულია. აბა, ახლა დაატრიალეთ ღლობუსი და ნახავთ, რომ თვითეული ქვეყანა თანდათან ხან სინათლეში შედის და ხან სიბნელეში; ახლა ამ ღლობუსის მაგივრათ წარმოიდგინეთ დედამიწა, ხოლო მკრთლათ მნათობი სანთლის ნაცვლათ ვეებერთელა მზე და მაშინ უეჭველათ გაიგებთ, დედამიწა თავის ღერძზე ბრუნვით რანაირათ უნდა აჩენდეს თანდათანობით ზოგჯერ სინათლეს და ზოგჯერ სიბნელეს. თქვენ მართალი-კი არ გეგონოთ დედამიწას შუაგულში ღერძი აქვს გაყრილიო, რომლის გარშემოც ის ტრიალებსო. ღერძს ჩვენ მხოლოთ ვგულისხმობთ, იგი ნამდვილათ არ არსებობს. აი ამ ნაგულისხმევ ღერძის შემოვლას დედამიწა 24 საათს უნდება; ამ ხნის განმავლობაში მზე უცვლელათ და განუწყვეტლათ ანათებს ცაზედ. მაგრამ მხოლოთ დედამიწის იმ ნაწილებს ხვდება სინათლე, რომელიც ამ დროს სინათლისაკენ არის შექცეული. დედამიწაზე ყოველთვის უნდა იყოს ნათელი და ბნელი, ისე როგორც ეს ჩვენ ღლობუსზედ შევამჩნიეთ, როცა მის პირდაპირ სანთელი დავდგით, ამის შემდეგ თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ შემდეგ გარემოებას: დედამიწა რომ არ ბრუნავდეს მისი ერთი ნაწილი ვერასოდეს სინათლეს ვერ იხილავდა, ხოლო მეორე სიბნელეს. მაგრამ რაკი დედამიწა ბრუნავს, ყოველი მისი ნაწილი რიგ-რიგათ ზოგჯერ განათებულია და ზოგჯერ კიდევ დაბნელებული. როცა ჩვენამდის მზის სინათლე მოაღწევს, მაშინ დღეა, ხოლო როცა მზის სხივებს ვშორდებით, მაშინ ღამეა. ჩვენ გვგონია, რომ მზე აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მოძრაობს; ამიტომაც დედამიწის ნამდვილი მოძრაობა უსათუოთ პირიქით დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ უნდა იყოს. დილით ჩვენ დედამიწას მზის სინათლეში შევყევართ; ეს სინათლე აღმოსავლეთიდან ეფინება დედამიწას. შემდეგ ჩვენ გვგონია ვითომ მზე მაღლა-მაღლა იწევს; შუა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღისას მზე თავს დაგვჩერებია. შემდეგ იგი თანდათან თაქვე მიდის და ბოლოს დასავლეთით ესვენება. ამავე დროს დედამიწა თავის მუდმივი ბრუნვით ჩვენ ქვეით მიგვაქანებს და ამნაირათ შევყევართ სიბნელეში. თავის ღერძს გარდა დედამიწა მზეს გარშემოც ტრიალებს. მთელს იმ გზას, რომელსაც დედამიწა მზის გარშემოვლას (ტრიალს) ანდომებს, ეძახიან ორბიტას. ორბიტას შემოვლას დედამიწა 365 დღეს და ცოტა მეტს უნდება. დედამიწის ღერძზედ ბრუნვისაგან ჩნდება დღე და ღამე. ხოლო მზის გარშემოტრიალისაგან წელიწადები. ამიტომაც დროსა და ჟამს დღეებათ და წელიწადებათ ეყოფთ. ამნაირათ ჩვენ დედამიწა ეეებერთელა საათის მაგივრობას გვიწევს. დედამიწის ამისთანა ბრუნვას მოსდევს სხვა შედეგებიც, რომელთაც ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ.

სან ინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეფალი და პროკრიდა.

(ოვიდიუსი).

ათინის მეფის ერეხფეას ქალი პროკრიდა მთელს სახელმწიფოში თავის სილამაზით და სათნოებით მეტად სახელ-განთქმული იყო. მთელი სახელმწიფოს მკვიდრნი, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ყველანი დიდის აღტაცებით შეტრფოდენ მეფის ასულის კალმით აუწერელს სილამაზეს. სახელმწიფოს წარჩინებულნი პირნი, მრავალ სახელმწიფოთა ტახტის მემკვიდრენი ერთი მეორეს ეცილებოდენ მოეგოთ მეფის ასულის გული, მაგრამ ყოველიეე ცდა ამ მხრით უნაყოფოთ რჩებოდათ. პროკრიდას მთელი აზრი და გონება სულ სხვას ეკუთვნოდა. მეფის ასულს უყვარდა ჰერმესის ღმერთის ახალგაზდა ვაჟიშვილი ცეფალი. პროკრიდა ცეფალას ეკუთვნოდა, ცეფალი-კი პროკრიდას.

მეტათ განუსაზღვრელი იყო ქალ-ვაჟის მეგობრობა და სიყვარული. ახალგაზდებმა ქორწინებით შეუღლება განიზრახეს, და თვისი საერთო განზრახვა მშობლებს განუზიარეს. მშობლები დიდის აღტაცებით მიეგებენ ახალგაზდათა საერთო სურვილს და ქორწინების ნებაც დართეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკრიდა და ცეფალი მთელს დედამიწის ზურგზე უბედნიერესს მეგობრებად სთვლიდენ თავიანთ თავს. განუსაზღვრელი სიყვარული და ერთი მეორეს გულწრფელი პატივისცემა აკავშირებდათ ახლათ დაქორწინებულთ. პროკრიდას და ცეფალის ბედნიერებას მრავალი შენატროდა. ახალგაზდათა ურთიერთ შორის განწყობილება მრავალთათვის სამაგალითო და საგულისხმიერო იყო. სამწუხაროთ, ხანგრძლივი არ გამოდგა ახალგაზრდათა ბედნიერება.

ერთხელ ცეფალი, დილით ადრე, გიმეტტის მთის აყვავილებულს წვერვალოზე ირმებზე ნადირობდა. დაბურულს და მიუვალს ტყის ყურეში ახალგაზდა მონადირეს შეხვდა ქალ-ღმერთი ეოია. მონადირის სილამაზემ ერთიანათ მოხიბლა ქალ-ღმერთი. სილამაზით განთქმულმა ქალ-ღმერთმა მიიპატიჟა ცეფალი თავის ფაიფურის ციხე-დარბაზში. ეოიამ განუზიარა ახალგაზდა მონადირეს თავისი გულის პასუხი სიყვარულისა და მეგობრობის შესახებ. ცეფალმა გადაჭრით უარი განუცხადა ახალგაზდა ქალ-ღმერთს. მე სხვისი ვისმე სიყვარული და მეგობრობა არ შემიძლია, რადგან ჩემი გული ერთიანად პროკრიდას ეკუთვნისო.

ეოია სრულიადაც არ მოელოდა ცეფალისაგან ესეთ კადნიერებას. ქალ-ღმერთი მეტად განრისხდა, სიბრაზისაგან სული თმებს იგლეჯდა და პირის სახეს იკაწრავდა. „გასწი, ცეფალ, შენს პროკრიდასთან, მხოლოდ გახსოვდეს, ჩემი შეურაცხყოფა ძვირად დაგიჯდება, დრო მოვა, ინანებ“-ო. ამ სიტყვებით გამოისტუმრა ქალ-ღმერთმა ცეფალი სახლში.

სამაგიეროს გადახდა განიზრახა შეურაცყოფილმა ეოიამ. შინ დაბრუნების დროს ქალ-ღმერთმა ეჭვი აღუძრა ცეფალს პროკრიდას გულწრფელი ერთგულების შესახებ. ცეფალმა გზაზე უცნობი სახე მიიღო და ისე დაბრუნდა სახლში. პროკრიდამ სრულიად ვერ იცნო თავისი საყვარელი მეუღლე.

უცნობმა გულწრფელი სიყვარული და მეგობრობა გამოუცხადა პროკრიდას და თან კანონიერად შეუღლების სურვილიც გაუმჟღავნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკრიდამ გულისწყრომით უარყო უცნობის წინადადება.—„არა და არა! მე არასოდეს არ გავთხოვდები. ჩემი სიყრმითვე საყვარელი მეგობარი ცეფალია, მე მას ვეკუთვნი. სანამ გონება კიდევ შემრჩენია, სანამ კიდევ პირში სული მიდგია, ცეფალის სახელის ხსოვნას ვინაცვალები, საცა-კი უნდა იყოს იგი. მე მარადის მისი ერთგული მეგობარი ვარ და კიდეეაც ვიქმნები“.

გულწრფელად წარმოსთქვა პროკრიდამ ეს სიტყვები, პროკრიდას სიყვარელით აღსავსე გული სწორედ იმას გრძნობდა, რასაც ბაგენი სიტყვიერად აღიარებდენ. ამიტომ უცნობის-ათვის სრულიად საკმარასი უნდა ყოფილიყო პროკრიდას გულწრფელი აღსარება, მაგრამ ეოია ქალ-ღმერთის შეგონებით ცეფალი ამ გულწრფელი აღსარებით როდიღა დაკმაყოფილდა. უცნობი თავ-დავიწყებით ეფიცებოდა პროკრიდას განუსაზღვრელ სიყვარულს და მეგობრობას, უმტკიცებდა, რომ ცეფალი უკვე დიდი ხანია მკვდარიაო. პროკრიდას არა სწამდა უცნობის სიტყვები ცეფალის სიკვდილის შესახებ, თუმცა-ღა ესეთის რწმუნების შემდეგ ცოტათი არ იყო ეჭვი კი დაებადა. უცნობმა შენიშნა თუ არა ეს ეჭვი, მრისხანეთ შეჰყვირა: „ვხედავ, ეხედავ შენს ერთგულებას! საზიზღარო! მე უცნობი ვინმე-კი არა ვარ, მე ცეფალი ვარ, შენი გულ-გრილობის, უერთგულების პირისპირი მოწამე!“

საშინლათ შეაწუხა უდანაშაულო პროკრიდა ცეფალის ესეთმა უსამართლო საქციელმა. დიდ შეურაცხყოფილათ ჰგრძნობდა პროკრიდა თავის თავს. სინიდისი მეტათ ჰქენჯნიდა მგრძნობიარე პროკრიდას, მან სამარცხვინოთ მიიმჩნია ყველა ამის შემდეგ ცეფალის ოჯახში დარჩენა. შეურაცხყოფილი პროკრიდა კრიტის კუნძულზე გადასახლდა, სადაც იგი არტემიდა ქალ-ღმერთან ერთათ კრიტის მთა-გრეხილებზე თითქმის მუდამ დღე ჯავრის გადასაყრელად სანადიროთ დადიოდა. პროკრიდას მგრძნობიარე გულში ცეფალის სიყვარული და მეგობრობა მაინც კიდევ ღრმად იყო დამარხული და ღღითი ღღე უფრო და უფრო თავს იჩენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არტემიდა ქალ-ღმერთმა თავის საყვარელ მეგობარ ქალს პროკრიდას აჩუქა ქარიეით მალი და სწრაფი მწევარი ძაღლი და სანადირო მშვილდ-ისარი. საკვირველი თვისების იყო ეს მშვილდ-ისარი. არასოდეს ეს მშვილდ-ისარი მიზანს არ ასცდებოდა და ყოველის სროლის შემდეგ მსროლელს თავის და თავად უკანვე ხელში უბრუნდებოდა.

ერთხელ პროკრიდა თავის საკვირველის მშვილდ-ისარით და ფეხ-მალი მწევარით კრიტის მთების კალთებზე ნადირობდა. მახლობლათ იქვე ტყეში ნადირობდა ცეფალიც. პროკრიდამ უცნობი სახე მიიღო და ცეფალთან მივიდა. ფეხ-მალმა მწევარმა და საკვირველმა მშვილდ-ისარმა გაკვირვებაში მოიყვანა ნადირობის მოტრფიალე ცეფალი. ახალგაზრდა მონადირე მზათ იყო სანუკარი სასყიდელი გაეღო, ოღონდ-კი ეს საკვირველი მშვილდ-ისარი და ფეხ-მალი მწევარი მისთვის დაეთმოთ. პროკრიდამ თანხმობა გამოუცხადა ცეფალს მშვილდ-ისარს და მწევარს დაგითმობ, თუ ჩემს მეუღლეთ გახდებიო. ცეფალი დიდის სიამოვნებით დასთანხმდა. პროკრიდამ ახლა-კი შემოიძრო პირისბადე და თავის ნამდვილის სახით წარსდგა ცეფალის წინაშე.

პროკრიდას დანახვაზე ცეფალი უნებლიეთ შეჰკრთა, მაგრამ იმავე წამს ლმობიერათ ხელი გაუწვდინა თავის ერთგულს, საყვარელს მეგობარს პროკრიდას. ამის შემდეგ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი დიდხანს და დიდხანს ბედნიერათ სცხოვრობდენ მით უფრო, რომ არც ერთს მათგანს ახლა ნება არა ჰქონდა რაიმე ესაყვედურნა მეორესათვის.

ცეფალი დიდი კმაყოფილი იყო თავისი საკვირველი მშვილდ-ისრის და მწევრისა. ახალგაზდა მონადირეს ყველგან ეპატიჟებოდენ სანადიროდ. ერთხელ ბეოტიის მხარეს განრისხებულმა დიონისომ მოუელინა საზიზღარი მელია. ბეოტიის ახალგაზდა მონადირენი გარს ერტყმებოდენ თვალუწვდენელ მინდორს, რომელზედაც არხეინათ ნავარდობდა ფეხ-მალი მელია, მაგრამ დაჭერას-კი ვერასგზით

ვერ ახერხებდენ. ფეხ-მარდი მელია ელვასავით დაჰქროდა ფართო მინდორზე დაგებულ ხაფანგებზე და ფრინველზე უფრო მარდათ გაურბოდა მაზე დაგეშილ გაფთრებულ ძაღლებს. ბეოტიელებმა მელაზე სანადიროთ მოიწვიეს ცეფალი.

ცეფალის ფეხ-მალი მწევარი ჯარასავით დასტრიალებდა ფეხების ფრჩხილებზე და მოუთმენლათ მოელოდა იმ დროს, აბა როდის მიმისცენენ ბეოტიის გამანადგურებელ მელასაო. ცეფალმა მოიმარჯვა დრო. ვერხვის ფოთოლივით მოცახცახე მწევრის საყელოს ხელი შეუშვა. მწევარი ელვის სისწრაფით დაედევნა ფეხ-მარდ და გაიძვერა მელიას. მონადირენი სულ-განაბულნი შესცქეროდენ თვალ-უწედენელ გაშლილ მინდორზე ცეფალის მწევარის ელვასავით ფეხის სიმარდეს და მელიას თავგანწირულ სულისკვეთებას. ცეფალი მთის მაღალ მწვერვალოდან გულის-ცახცახით ჩაჰმოყურებდა თავის ფეხ-მარდ მწევარს, რომელიც, აი ეს ესაა, მელიას კუდში ტუჩსა სტაცებსო. მაგრამ არა, როცა მწევარი ტუჩს მელიას სატაცებლათ მოიმარჯვებდა, ეს გაიძვერა მხეცი ეშმაკურათ დაუსხლტდებოდა მდევარს და განსაცდელს თავს აღწევდა. მელიასა და მწევარს მარტოოდენ ერთი მტკაველი მიწა აშორის-შორებდა. შეუძლებელი შეიქმნა გაიძვერა მელიას სძლევა.

ამ დროს ცეფალმა უკანასკნელ საიმედო საშუალებას მიმართა. მოიმარჯვა თავისი საკვირველი თვისების მშვილდ-ისარი და მელიას დაუმიზნა. უეცრივ ცეფალმა მელია თვალიდან დაჰკარგა. როცა მონადირემ თვალუწედენელ ველს კვლავ თვალი გადააველო მელიას ხელ-მეორედ მშვილდ-ისრის დასამიზნებლათ, დახეთ საკვირველებას, ცეფალის თვალთა-წინ სანადირო ველზე ორი თლილი, უმტვერო მარმარილოს ქანდაკება აღიმართა. ერთი მარმარილოს ქანდაკება გაიძვერა მელიას ქანდაკება იყო, ხოლო მეორე-კი ცეფალის ფეხ-მალი მწევარისა, რომელიც მელიას ქანდაკებიდან ერთი მტკაველის მანძილზე გამოქანდაკებული იყო.

ცეფალმა კარგათ იგრძნო ამ ქანდაკებათა მნიშვნელობა: გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისხებულ დიონისის სრულიადაც არა ჰსურდა გამარჯვება დარჩენოდა ერთ-ერთს რომელიმე მოპირდაპირე მხარეს.

დიდხანს და დიდხანს სცხოვრობდენ პროკრიდა და ცეფალი თანხმობით და ბედნიერათ. თვით ღმერთებსაც-კი სწამდათ ახალგაზდა ცოლ-ქმარის ბედნიერი ცხოვრება.

ცეფალი მუდამ დღე მაღალ მთების მწვერვალოზე სანადიროთ დადიოდა თავისი საკვირველი მშვილდ-ისარით. სიცხისა და ნადირობისაგან მოღლილი და მოქანცული ახალგაზდა მონადირე ჩვეულებრივ შუადღისას მაღალ ტოტებიან ხრს ჩეროში ისვენებდა. სიცხისაგან გარინდული ცეფალი დასვენების დროს ხშირათ ხმა მაღლივ გასძახებდა ხოლმე: „ავრა, ჩემო სიხარულო, ჩემო ნუგეშის მომცემო, შენ ხარ ჩემი მაცოცხლებელი ძალა! მარტოოდენ მხოლოთ შენით ვცოცხლობ ამ დაბურულს ტყის მიდამოში, მოდი, მოდი, ჩემო ჭმუნვისა და დარდის გამაქარვებელო სიხარულო, გამაკურნებელ მალამოდ დაედე ჩემს დაღლილს გულს!“

ვიღაც ბოროტგამზრახველმა შემთხვევით ყური მოჰკრა ცეფალის ამ სიტყვებს და გადასწყვიტა, უთუოთ „ავრა“, რომელსაც ცეფალი ასე ხშირათ ეპატიჟება, რომელიმე ქალ-ღმერთაგანიაო.

ბოროტგამზრახველი დაუყოვნებლივ პროკრიდასთან მიიჭრა და ყოველივე გაუმჟღავნა. პროკრიდას ღრმად სწამდა ცეფალის ერთგულება, ცეფალის გულწრფელი სიყვარული, მაგრამ ბოროტგამზრახველის სიტყვები მაინც შეურაცყოფათ მიიმჩნია. ცილს სწამებენ ჩემს ერთგულს მეგობარს, გაიფიქრა პროკრიდამ, და ამიტომ თითონვე უნდა პირისპირ შევამოწმო ესეთის ცილისწამების უსაფუძლობაო.

მეორე დილით, სანამ დიდებული მზე თავის მცხოველ მყოფელ სხივებს დედამიწას უხვად მოჰფენდა, ცეფალი უკვე მთის მაღალს კალთებზე ჩვეულებრივ ნადირობდა. მშვენიერი დილა იყო. ჩიტების ხმაურობა და კისკისი დაბურულ ტყით დაფენილ მაღალს მთა-გრეხილებს ფიანდაზათ ეფინებოდა. მზე თანდათან თავის სხივების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმძლაერეს იჩენდა. შუადღის ხანაც მოახლოვდა. ცეფალმა შესწყვიტა ნადირობა და მაღალს ტოტებიან ხის ჩეროში მოისვენა. ახალგაზდა მონადირემ ჩვეულებრივად შესძახა თავის გამამხნევებელ და გამაცოცხლებელ ავრას: „მოდი, ჩემო ნუგეშო, ჩემო სიხარულო!“ ამ დროს უეცრივ მახლობელ ბუჩქნარში რაღამაც გაიხმაურა. ცეფალმა გაიფიქრა, უთუოთ ბუჩქნარში ნადირიაო, და თავისი საკვირველი მშვილდ-ისარი ბუჩქნარისაკენ მარდათ სტყორცნა.

— „ვაიმე!“ ერთი მძლავრად შეჰკივლა პროკრიდამ, საცოდავს მშვილდ ისარი ზედ გულში მოხვედროდა.

ცეფალმა უმალვე იცნო თავის ერთგული მეგობრის ხმა და ელვის სისწრაფით ბუჩქნართან მიიჭრა.

ცოცხალ-მკვდარი პროკრიდა ოდნავ-ღა სუნთქავდა. გულის მკერდიდან საბრალოს სისხლის შადრევანი გადმოსჩქებდა. საცოდავი სანახევი იყო ამ დროს გონება დაკარგული ცეფალი. მან დაუყოვნებლივ შეუხვია თავის ერთგულს მეგობარს მძიმე ჭრილობანი. ცეფალი ბავშვსავით დაქვითინებდა თავის მომაკვდავს პროკრიდას, სთხოვდა, ემუდარებოდა, გონს მოდი, ერთი კიდევ ლმობიერად გადმომხედეო. მაგრამ ამაოდ. საბრალო პროკრიდას უკანასკნელი წამი თანდათან ახლოვდებოდა. პროკრიდაც კარგათ გრძნობდა საყვარელ მეგობართან განშორების ჟამს. გონება მიხდილს, მწვავე ჭრილობისაგან დასუსტებულს თვალთაგან მარგალიტის ცრემლები ნაკადულებრ გადმოსჩქეფდა. მოახლოვდა სამწუხარო და უკანასკნელი წამიც.

პროკრიდამ მისუსტებული, ცრემლიანი თვალები თავის საყვარელს მეგობარს ცეფალს შეაჩერა. მძიმედ, მხოლოთ მუდარებისა და ხვეწნის კილოთი, უკანასკნელათ საცოდავის ხმით ამოიკვნესა: „ცეფალ, ჩემო კარგო, ჩემო სიხარულო, ჩემო საიქიოსაც გამამხნევებელო ძვირფასო მარგალიტო, გთხოვ, უკანასკნელათ გემუდარები, გეევედრები „ავრას“ შენს ჩემთვის კიდევ ძვირფას და მუდამ საყვარელს გულს ნუ გადაუშლი, ჩემს მოვლილს და ნაპატრონებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარმიდამოს ნუ დაუსაკუთრებ! გეეედრები, გეეედრები, ჩემო ძვირფასო მეგობარო, უკანასკნელათ გეეედრები!“

ცეფალი მხოლოთ ამ სიტყვების შემდეგ მიხვდა, თუ რა სამწუხარო შეცდომის მსხვერპლი გახდა მისი ერთგული და საყვარელი მეგობარი პროკრიდა.

ცეფალმა დაუყოვნებლივ აუხსნა მომაკვდავ პროკრიდას, რომ „ავრა“ გულის გამაგრილებელი ტყის სიოა, რომელიც სიცხისაგან დაღლილთ ძალას და მხნეობას ჰმატებს.

ცეფალის მიერ გულწრფელათ ნათქვამმა სიტყვებმა პროკრადას მწვავე ჭრილობა ერთბაშათ დაუამა. საბრალომ ერთჯერ კიდევ გადახედა თავის საყვარელ მეგობარს და სამუდამოთ, მხოლოთ მშვიდათ-კი, დახუჭა სისუსტისაგან მილულული ცრემლიანი თვალები.

საბრალო ცეფალი ხელებ გულზე-დაჭედილი დასცქეროდა პროკრიდას გაცივებულს გვამს და საზარლათ ხმა მაღლივ ქვითინებდა და ქვითინებდა.

გულსაკლავი და სამწუხარო იყო ეს ქვითინი. ყველას მწუხარებას ჰგვრიდა საცოდავი ცეფალის უბედურება. ტყის ნადირთაც-კი გული ეჩუყებოდათ და ცხარე ცრემლს აფრქვევდენ. ჩიტები ჟივილ-ხივილით თავს დასტრიალებდენ სამწუხარო ადგილს და მდუღარე ცრემლებს აფრქვევდნენ პროკრიდას გაცივებულს პირისახეს. ცეფალი ისევ გულზე ხელებ-დაჭედილი დასცქეროდა თავის გულითად მეგობარს პროკრიდას და გულამოსკვნით ქვითინებდა და ქვითინებდა.

ს. უუმისთაველი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ოტე სესნიაშვილისაგან).

მოსტყუვდები თუ კაცს ერთი შეხედვით ბრძენს დაუძახებ, რადგან ბრძენი მუდამ ჭკუით და საქმით იცნობების.

—

მტერი თუ მოყვრულათ მოგექცეს, მოერიდე, და თუ მოკეთე მტრულათ—იგი შეიყვარე.

გ ა მ ო ც ა ნ ა.

(წარმოდგენილი სოდ. გოშაძისაგან).

მირბის, მიჰქროლავს უჩინრათ,
მიჰკივის, როგორც მთვრალია,
კლდეებზე დადის უვნებლათ,
ვერც შეაყენებს წყალია,
იმისი წესი ის არის.
მიხვედრა თქვენი ვალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ მ ა.

დასწერა: ქვიშას ერიდე, სანამ გალიო გზა ჩქარი,
ფართო ხიდია საჭირო, ტბა რიგიანი ღრმა არი.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან).

ანბანის უხმო ასოთი იწყება ჩემი სახელი,
ბოლო ხოცვაა ხალხისა, ძრწის მუდამ მისი მნახველი,
მთელს, ნადირს მინდვრათ ბევრს ნახავთ
თუ არაბეთში წახვედით.

სიტყვების ამოცანა.

ამ სიტყვებს წინიდან მიუმატეთ თითო ოროლა ასო, რომ გამოვიდეს რომელიმე მტაცებელი ფრინველი'ს ან მხეცის სახელი.

—ორი	—ომი
—წივი	—ლია
— ავი	—ორი
— ავი	— ავი

სათამაშო გასართობი.

ტ ყ ვ ე ო ბ ა ნ ა.

ოციოდ ბავში შეგროვდება ერთათ. ამათში ერთი ან რამდენიმე ბავში ჩადგება შუაში, ამათ ჰქვიათ ტყვეები.

დანარჩენები ჩაჰკიდებენ ხელი-ხელს და ამ ტყვეებს გარშემოავლებენ რგვალ წრეს, ან კედელს. თამაშობა იწყება ასე:

გარშემოვლებული წრის ბავშები ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევენ მაღლა ხელებს და ამით ტყვეებს ეითომ ანიშნებენ, თუ კაი ბიჭები ხართ აბა გაიქეცითო. და როგორც-კი ტყვე გასაქცევათ გაექანება გარშემოვლებული წრის ყმაწვილები ისევ დასწევენ ძირს ხელებს და არ უშვებენ გასაქცევათ. თუ ტყვე ყოჩაღათ მოიქცა და წრიდან გაქცევა მოახერხა, მაშინ ის ხდება ტყვეთ, ეისმა ხელმაც ვერ შესძლო გამაგრება, ტყვე თავისუფალია და გარშემოვლებულ წრეში იღებს მონაწილეობას.

რებუსი

(შედგენილი სოდ. გოშაძისაგან).









ეროვნული ბიბლიოთეკა

ძმის-წულის მამა, ვაზის მტერი ს

, გ ,

ძველი პუერი ანუ? ,

მინდორი ანუ? , ს

კაცის საცხელი , მ ა

ძნის შესაკრავი , ,

, ო ა

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთხუთმეტე

გამოვა 1904 წელსაც თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისთვის და მოზრდილთათვის.

„ჯეჯილში“ მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. იანვრიდან დაიწყება ბეჭდვა ინგლისელ მწერლის მარკ-ტვენის მოთხრობისა: ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი. წლის განმავლობაში სხვა სტატიებთა შორის იქნება დაბეჭდილი ექვსი სტატია ჩვენი ისტორიიდან.

ხელის მომწერლებს დაურიგდებათ ჰრქონიათ დასურათებული ზღაპრების კრებული.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კ. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

1) თფილისში—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ს. თუმ.-წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა